ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 2 ოქტომბერი, 2020 №207 (8471) ფასი: 60 თეთრი

## ექიმი ვახტანგ ყიფიანი 50.000-ლარიანი გირაოთი გამოუშვეს

გვ.5





გვ.5

## ელენე ბაშარულის სიკვდილისთვის დაკავებულ გ.დ-ს პატიმრობა შეეფარდა

# „ძალა ერთობაშიას“ სიის პირველი ნომერი



გვ.2

## ბუბა კიკაბიძე

„ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარობის კანდიდატები სიის ბოლოში მოაქცია

## „8 წლის წინ თეორიულადაც ვერ წარმოვიდგენდი, რომ დღეს ეს რეალობა გვექნებოდა“



## გია ხუხაშვილი: „დავით გარეჯთან დაკავშირებით რუსული თამაში დაიწყო“



გვ.2



გვ.3

## „წარმოუდგენელია, რუკა როგორ დაიკარგა?!“



გვ.3

## „სად არის გახარია, რატომ ვეღარ იგერიებს კორონავირუსს?“

გიგა მაქარაშვილი: „არ მეგულება ადამიანი, რომელიც ბედნიერია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნით“

## „სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი შეზღუდული ომის ფარგლებშია“



გვ.4

ვახტანგ მაისაია: „მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაშია. ორივე მხარეს სერიოზული დანაკარგებია. ამიტომ ომის გაგრძელება დაუშვებელია. ეს ბრძოლა უნდა შეჩერდეს, თორემ ლოკალური ომი, შეიძლება, რეგიონულ ომში გადაიზარდოს“

## შინაგან საქმეთა სამინისტროს ქუთაისის პოლიციის სამმართველოში არასრულწლოვნებზე მორგებული სივრცე მოეწყო



გვ.5

ISSN 1987-9385

4 დავით ლორთქიფანიძე: „ოცნებამ“, შეიძლება, ამომრჩევლის 1-2% დაკარგოს“

6 ერდოღანმა სომხეთს ბანდიტური სახელმწიფო უწოდა

5 კახეთში პედოფილიაში ბრალდებული მამაკაცი, რომელსაც 13 წელი მიუსაჯეს, გაიქცა

6 ფაშინიანი: „სომხეთი თურქეთის იმპერიალისტური ოცნების ბოლო დაბრკოლებაა“

# „8 წლის წინ თეორიულადაც ვერ წარმოვიდგენდი, რომ დღეს ეს რეალობა გვექნებოდა“

## გია ხუხაშვილი: „დავით გარეჯთან დაკავშირებით რუსული თამაში დაიწყო“

იაგო ნაცვლიშვილი

**რატომ დაიწყო გამოძიება პროკურატურამ დავით გარეჯთან დაკავშირებით და არის თუ არა ეს რუსული სცენარი? რით დაგვამახსოვრა თავი ამ მოწვევის პარლამენტმა, რა მოუტანა ქვეყანას „ოცნების“ 8-წლიანმა მმართველობამ, ელოდა თუ არა 8 წლის წინ თუნდაც თეორიულად, რომ ქვეყანა ასეთ მდგომარეობაში იქნებოდა? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი საუბრობს, რომელიც 8 წლის წინ ბიძინა ივანიშვილის გუნდის ძირითადი წევრი იყო.**



***— დავით გარეჯთან შექმნილი კომისიის ყოფილი წევრისა და თავმჯდომარის სახლისა და კაბინეტის ჩხრეკა მიმდინარეობდა. რას ემსახურება ეს პროცესი — ეს არის სიმართლის გარკვევის მიზნით გადადგმული ნაბიჯები თუ წინასაარჩევნო მანიპულაციაა?***

— მე გამიჭირდება ამაზე დიაგნოზის დასმა. სიმართლე გითხრათ, რაც უნდათ, ის იძიონ და რაც უნდათ, ის აკეთონ. საარჩევნო საკითხებიც არ არის მთავარი. საარჩევნო მიზნებით მანიპულაციას დიდი ხანია, შეჩვეული ვართ, მაგრამ აზერბაიჯანთან მიმართებით კონტექსტი ძალიან მძიმეა. აზერბაიჯანი ახლა ცხელი ომის მდგომარეობაშია ყარაბაღთან დაკავშირებით. ის ცდილობს, დაიბრუნოს საკუთარი ტერიტორიები. ამ დროს გამოითქმება ეჭვები, რომ რაღაც რუკებია, მერე ამბობენ, რომ აზერბაიჯანმა ვიღაცას ქრთამი გადაუხადა ამაში.

დიდი ბოდიში, რაც გინდათ, ის იძიეთ, მაგრამ კონტექსტი გამოდის ძალიან მძიმე, იმიტომ, რომ დღეს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ამ ტიპის გაუგებრობის შემოტანა, თანაც ზუსტად ტერიტორიულ პრობლემასთან დაკავშირებით, არის წმინდა წყლის რუსული თამაში, მოდით, ასე ვთქვათ, რუსულ-სომხური.

დიდი ბოდიში, მაგრამ ეს პრობლემა ათეულობით წლებია არსებობს ქვეყნებს შორის და რაღაცნაირად ვახერხებთ ურთიერთობას.

***— ეს საკითხი რეგიონის გეოპოლიტიკურ ჭრილში უნდა დავინახოთ?***

— რა თქმა უნდა. ასეთი დამთხვევა შეუძლებელია. რანაირი დამთხვევაა, თქვე კაი ადამიანებო, 1-2 კვირა მოიცადეთ, გავიდეს ცოტა დრო. რატომ გახდა ასეთი სასწრაფო, როდესაც იქ ომი დაიწყო?!

***— თან ყარაბაღთან დაკავშირებითაც გამოიკვეთა რუსეთის როლი და აგერ უკვე ლავროვი სთავაზობს მხარეებს მოლაპარაკებებს.***

— რა თქმა უნდა. არაერთხელ დადასტურებულა, რომ რუსეთიც და სომხეთიც ცდილობენ, ჩვენ და აზერბაიჯანს შორის დაძაბონ ურთიერთობები, რაღაც გაუგებრობები შემოიტანონ ამ ურთიერთობებში და ა.შ.

კონტექსტი არის ძალიან მძიმე და, თუ ჩვეულებრივ პირობებში ეს გადალახვადია, ამ ვითარებაში, როდესაც აზერბაიჯანი ფაქტობრივად ომშია ჩართული, აქედან ირიბად ასეთი შეტევა გაუგებარია. ვითომ აზერბაიჯანს არ ვუტევთო, მაგრამ კონტექსტი ხომ ეს არის? წარმოუდგენელი რაღაცა ხდება. რაც მთავარია, ამაში ჩართულია ხელისუფლება. გაითვალისწინეთ კონტექსტი და ცოტა დროში მაინც გადაიტანეთ, რაღაცა გააკეთეთ. ძნელი იქნება აზერბაიჯანის დარწმუნება, რომ შემთხვევით ხდება და მეტი არაფერი.

***— თურქეთთანაც ხომ არ ქმნის ეს პრობლემებს, რომელიც აზერბაიჯანის მოკავშირედ ითვლება?***

— უნდა გვესმოდეს, რომ აზერბაიჯანისა და თურქეთის პრობლემა ერთიანია. თურქეთმა თქვა კიდეც, აზერბაიჯანის პრობლემები ჩვენი პრობლემებიაო.

მე ასე შორს არ წავიდოდი და იმედი მაქვს, ეს პრობლემა მოგვარდება, მაგრამ შეშფოთებული ვარ. თუ ვინმეს რამე დანაშაული აქვს, კი ბატონო, დაისაჯოს, ამის წინააღმდეგი კი არ ვარ, მაგრამ კონტექსტია წარმოუდგენელი. რაღა მაინცდამაინც ახლა, როდესაც ომი დაიწყო, მაშინ აღმოაჩინეს რუკა და ფართხაფურთხით დაიწყეს გამოძიება. ეს პირდაპირ მეტყველებს იმაზე, რომ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე ზრუნავენ საქართველოში. წინასაარჩევნო მიზნებია თუ სხვა, არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ნაბან წყალს ბავშვი თუ გადააყოლე, რა მნიშვნელობა აქვს, ამის შემდეგ რა მიზნებზე შეიძლება იყოს საუბარი. ამის შემდეგ ვიღაცას გაუკვირდება, როდესაც პრორუსობას დააბრალებენ.

### „დასავლეთის წითელი ხაზი არჩევნებია... ამომრჩევლის ფორმირება ბოლო 2 კვირაში მოხდება“

***— სახელმწიფო ღალატის მიმართულებითაც ხომ არ ჩნდება კითხვის ნიშნები?***

— საერთოდ, სახელმწიფო ღალატი ძალიან მძიმე ბრალდებაა. აქედან გამომდინარე, მე ამ ტერმინოლოგიისგან თავს შევიკავებდი ყოველთვის. ეს უგუნურობაა, სიბრიყვეა...

***— მეცხრე მოწვევის პარლამენტმა მუშაობა დაასრულა. რით დაგამახსოვრათ თავი მან?***

— იმით დამამახსოვრა, რომ ეს არის პრაქტიკულად პირველი პარლამენტი, რომლისთვისაც არ მიყურებია, არც ერთი სხდომა არ მინახავს და არც დავინტერესებულვარ. წინა პარლამენტებიც არ გვქონდა ცივილიზებული და დავარცხნილი, მაგრამ ეს საერთოდ კატასტროფა, არაფრისმთქმელი და გაუგებარი წარმონაქმნი იყო, რომელიც ვიღაცის ხუშტურებს ადასტურებდა და მეტი არაფერი. იქ ხომ პოლიტიკა არ კეთდებოდა! ერთმანეთში კინკლაობა, კი ბატონო, იყო, მაგრამ ეს არც წინა პარლამენტებს აკლდა.

***— ერთი მნიშვნელოვანი გარემოება იყო, როდესაც მოქმედ პარლამენტარს დეპუტატის იმუნიტეტი მოუხსნეს და სამაჯური დაადეს. მელიას ვგულისხმობ.***

— როდესაც ასეთი ვითარებაა და არაფერი წყდება, როდესაც გარედან დირექტივებით მოქმედებენ, რა თქმა უნდა, იქ შესაძლებელია მათ შორის ეგეთი რაღაცა.

***— რა მოგვიტანა „ოცნების“ 8 წელმა და***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარობის კანდიდატები სიის ბოლოში მოაქცია

**1 ოქტომბერს „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელმა მდივანმა და საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა ირაკლი კობახიძემ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პარტიული სია წარადგინა.**

**აღსანიშნავია, რომ მაჟორიტარების კანდიდატების უმრავლესობა სიის ბოლოში, არაგამსვლელ ადგილებზეა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ვოლსკი, სუბარი, სერგეენკო, კობიაშვილი და სხვები მაჟორიტარულ არჩევნებს არ მოიგებენ, პარლამენტში ვერც სიით გავლენ.**

**„ქართული ოცნების“ სრული პარტიული სია ასე გამოიყურება:**

1. გიორგი გახარია
2. არჩილ თალაკვაძე
3. ირაკლი კობახიძე
4. თეა წულუკიანი
5. მამუკა მდინარაძე
6. კახაბერ კუჭავა
7. გიორგი კახიანი
8. მარიამ ქვრივიშვილი
9. მიხეილ სარჯველაძე
10. მაია ბითაძე
11. მიხეილ დაუშვილი
12. გიორგი ამილახვარი
13. ვიქტორ სანიკიძე
14. მარიამ ბოჭორიშვილი
15. შალვა პაპუაშვილი
16. დავით კაჭარავა
17. ნიკოლოზ სამხარაძე
18. გიორგი ხელაშვილი
19. მარიამ ლაშხი
20. ბექა დავითულიანი
21. ანრი ოხანაშვილი
22. დიმიტრი ხუნდაძე
23. დიმიტრი სამხარაძე
24. ნინო წილოსანი
25. ირაკლი კოვზანაძე
26. ირაკლი ბერაია
27. ირაკლი სესიაშვილი
28. ეკა სეფაშვილი
29. რატი იონათამიშვილი
30. გურამ მაჭარაშვილი
31. დავით მათიკაშვილი
32. ელისო ბოლქვაძე
33. ლადო კახაძე
34. ირაკლი მეზურნიშვილი
35. სავალან მირზოევი
36. რიმა ბერაძე
37. სუმბატ კიურეღიანი
38. ალეკო ტაბატაძე
39. ალუდა ღუდუშაური
40. ირმა ზავრადაშვილი
41. ირაკლი ზარქუა
42. გივი მიქანაძე
43. ბექა ლილუაშვილი
44. ქეთი დუმბაძე
45. ლექსო დალაქიშვილი
46. ლევან ქარუმიძე
47. ირაკლი მეძმარიაშვილი
48. ხატია წილოსანი
49. ვლადიმერ ჩაჩიბაია
50. ისკო დასენი
51. ვიქტორ ჯაფარიძე
52. მაია მენაღარიშვილი
53. ედიშერ თოლორაია
54. გოდერძი ჩანქსელიანი
55. ელგუჯა გოცირიძე
56. ანა ბუჩუკური
57. გია ბენაშვილი
58. დაჩი ბერაია
59. შოთა ხაბარელი
60. თამარ ტალიაშვილი
61. ლევან მგალობლიშვილი
62. გელა სამხარაული
63. გია ცაგარეიშვილი
64. ნინო იობაშვილი
65. გიორგი ჩაკვეტაძე
66. თენგიზ შარმანაშვილი
67. თორნიკე ჭეიშვილი
68. ბაია კვიციანი
69. მერაბ ქვარაია
70. ირაკლი კირცხალია
71. გიორგი ბარვენიშვილი
72. გენრიეტა წიწავა
73. იმედა ნიკურაძე
74. ლევან მაჭავარიანი
75. არჩილ გორდულაძე
76. სალომე ქურასბედიანი
77. გიორგი შინჯიკაშვილი
78. შალვა კიკნაველიძე
79. სულხან მახათაძე
80. სალომე ჯინჯოლავა
81. ჯუმბერ იზორია
82. ლუკა კანკავა
83. თემურ გოცირიძე
84. ქეთევან ჩარკვიანი
85. ზურაბ ხაჩიძე
86. დავით თურქია
87. ნიკა ტყემალაძე
88. ნათია მოდებაძე
89. თორნიკე ფხაკაძე
90. აბელ აბესაძე
91. ზურაბ იაშვილი
92. მარიამ ყაყიჩაშვილი
93. კობა სამხარაძე
94. გიორგი ხავთასი
95. მიხეილ თოფურია
96. მარიამი ლომიძე
97. დავით კაჭარავა
98. ვლადიმერ ქორთუა
99. გია თელია
100. მარიამ ნასუაშვილი
101. კობა დუნდუა
102. ბენედიქტე გეგეჭკორი
103. გაგა დარბაიძე
104. ანა თევდორაძე
105. გრიგოლ დალაქიშვილი
106. სერგი მუშკუდიანი
107. ჯონი ბერუაშვილი
108. ნინო ლაცაბიძე
109. ნიკა თინიკაშვილი
110. ირაკლი სურმავა
111. გია ჩხეიძე
112. ქეთი აბაიშვილი
113. ბექა ოდიშარია
114. ნოდარ ტურძელაძე
115. დავით სერგეენკო
116. მაიკო ხარძიანი
117. კახა კახიშვილი
118. სოზარ სუბარი
119. გიორგი ვოლსკი
120. ნათია თელია
121. მიხეილ ყაველაშვილი
122. ლევან კობიაშვილი
123. დავით სონღულაშვილი
124. ნინო ქარდავა
125. ირაკლი ქადაგიშვილი
126. შალვა კერესელიძე
127. ზაურ დარგალი
128. მარიამ თევზაძე
129. გოგი მეშველიანი
130. გიორგი ხოჯევანიშვილი
131. ზაალ დუგლაძე
132. ნინო ჯანიაშვილი
133. ანტონ ობოლაშვილი
134. სამველ მანუკიანი
135. გოჩა ენუქიძე
136. ნინო გიგინეიშვილი
137. პაატა კვიჟინაძე
138. ბეჟან წაქაძე
139. გივი ჭიჭინაძე
140. ხატია ურიგაშვილი
141. ზაზა ლომინაძე
142. ვასილ ჩიგოგიძე
143. ალექსანდრე მოწერელია
144. ალექსანდრა ხორგუაშვილი
145. ირაკლი ხახუბია
146. ირაკლი ჩიქოვანი
147. რესან კონცელიძე
148. ანა მიქაუტაძე
149. ზაალ მიქელაძე
150. ანზორ ბოლქვაძე.

# „ძალა ერთობაშიას“ სიის პირველი ნომერი ბუბა კიკაბიძეა

**1 ოქტომბერს ცნობილი გახდა საარჩევნო ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – ძალა ერთობაშიას“ საარჩევნო სია.**

**სია 177 პირით არის დაკომპლექტებული:**

1. ბუბა კიკაბიძე
2. გრიგოლ ვაშაძე
3. ნიკა მელია
4. ხატია დეკანოიძე
5. კობა ნაყოფია
6. დევი ჭანკოტაძე
7. ლევან ვარშალომიძე
8. სალომე სამადაშვილი
9. ზალიკო უდუმაშვილი
10. ხათუნა სამნიძე
11. რომან გოცირიძე
12. თემურ ჯანაშია
13. ნატო ჩხეიძე
14. რამაზ ნიკოლაიშვილი
15. კახაბერ ოქრიაშვილი
16. გუბაზ სანიკიძე
17. აბდულა ისმაილოვი
18. ცეზარ ჩოჩელი
19. თამარ კორძაია
20. სულხან სიბაშვილი
21. გიორგი გოდაბრელიძე
22. დავით ხაჯიშვილი
23. დილარ ხაბულიანი
24. თინათინ ბოკუჩავა
25. როსტომ ჩხეიძე
26. დავით კირკიტაძე
27. გიორგი ბოტკოველი
28. ეკატერინე ხერხეულიძე
29. მანუჩარ კვირკველია
30. ნიკა მაჭუტაძე
31. აკაკი მინაშვილი
32. ნონა მამულაშვილი
33. ლევან ბეჟაშვილი
34. ბაჩუკი ქარდავა
35. ლევან ხაბეიშვილი
36. ანა წითლიძე
37. მირდატ ქამადაძე
38. დიმიტრი შაშკინი
39. ბადრი ბასიშვილი
40. ეკა წამალაშვილი
41. მურმან დუმბაძე
42. გიორგი ბარამიძე
43. ნუგზარ წიკლაური
44. რუსუდან ცირეკიძე
45. მურთაზ ზოდელავა
46. გიორგი პატარაია
47. ზაზა გოროზია
48. ნინო კვიტაიშვილი
49. ბექა ქორჩილავა
50. აზერ სულეიმანოვი
51. მელიქ რაისიანი
52. მაია ჯავახიშვილი
53. ირაკლი ნადირაძე
54. ბესიკ თამლიანი
55. გიორგი კაპანაძე
56. ნატალია მჭედლიშვილი
57. გია ნაცვლიშვილი
58. მამუკა ჩიქოვანი
59. გრიგოლ სორდია
60. მეგი გოცირიძე
61. მალხაზ ჯალაღონია
62. კახა გეწაძე
63. ზვიად კუპრავა
64. დარეჯან ცხვიტარია
65. ბესიკ გაზდელიანი
66. ლევან კონჯარია
67. გიორგი კუბლაშვილი
68. თამარ დალაქიშვილი
69. მამუკა გუგეშაშვილი
70. გოჩა კუპრავა
71. შაქრო ტერტერაშვილი
72. ია ჯიშკარიანი
78. მამუკა საღარეიშვილი
79. გურამ კაკალაშვილი
80. თაკუჰი ვართანიან
81. დავით კახაძე
82. ავთანდილ გაბელაია
83. დავით ქათამაძე
84. ნონა ფიცხელაური
85. ვაჟა ჩიტაშვილი
86. გიორგი რობაქიძე
87. რამაზ გულუა
88. ნანა შატბერაშვილი
89. ბაკურ მგელაძე
90. ბესიკი შენგელია
91. ემზარ შუბლაძე
92. ხათუნა თავდიშვილი
93. ლერი დემეტრაშვილი
94. დავით ბელიაშვილი
95. გელა გვილავა
96. ხათუნა არველაძე
97. ზურაბ ოტიაშვილი
98 ალექსანდრე ბერიძე
99. თეიმურაზ ნემსიწვერიძე
100. ირმა მგელაძე
101. ვაჟა ბოლქვაძე
102. აგილ მუსტაფაევი
103. კახაბერ წოწინაშვილი
104. ირმა ფუტკარაძე
105. ირაკლი ჩოლოყაშვილი
106. გარსევან ბუხნიკაშვილი
107. ლევან ბაღაშვილი
108. ლელი აბულაძე
109. გიორგი სურმავა
110. პროკოფი ჩიკვილაძე
111. გიგა გურული
112. ნონა გელაშვილი
113. დავით ლაგვილავა
114. ბონდო თედორაძე
115. კონსტანტინე იოსელიანი
116. თათია გოგოსაშვილი
117. როლანდ ფიფია
118. გივი ამირხანაშვილი
119. დავით ცოფურაშვილი
120. ანა ბეგიაშვილი
121. გიორგი ჩივიაშვილი
122. ბესიკი ბრეგაძე
123. კახა ბუცხრიკიძე
124. ქეთევან ზუმბაძე
125. გიორგი ჯაბუა
126. ამირან ლომთაძე
127. პეტრე კიკნაძე
128. ეკა შიოშვილი
129. ილია ბაბლიძე
130. მურმან მუკბანიანი
131. გიორგი ბაბაკიშვილი
132. თინათინ ცერცვაძე
133. ვახტანგ ქვათაძე
134. თემურ ბუწაშვილი
135. დავით გვიჩიანი
136. თამილა კანკია
137. რევაზ კახნიაშვილი
138. ზურაბ ცერცვაძე
139. მიშა ბოლქვაძე
140. დალი კურდღელაძე
141. გოჩა სოყურაშვილი
142. დავით ოსიყმიშვილი
143. ნაილი ქანცლიანი
144. როინ ხინთიბიძე
145. გიორგი მღებრიშვილი
146. თენგიზ მამფორია
147. თეკლა ტყემალაძე
148. ლევან მახარაძე
149. კახა ლობჟანიძე
150. ზურაბ კასრაძე
151. ნონა ქანდარია
152. ქენან კახიძე
153. მამუკა ირემაძე
154. მალხაზ თავდგირიძე
155. შორენა შავაძე
156. გიორგი ზამბახიძე
157. თეიმურაზ გრიგალაშვილი
158. ბესარიონ გედენიძე
159. ნინო ბუხაიძე
160. მიხეილ ბალიაშვილი
161. გიორგი გიორგაძე
162. პაატა ადამია
163. ანა მელაძე
164. მამუკა ამანათაშვილი
165. ბაჩო ახალაძე
166. ნუგზარ ამაღლობელი
167. მანანა ბობოხიძე
168. ზაურ ჯახუა
169. გიორგი ონიანი
170. ნუკრი ჭოლაძე
171. თეა კერესელიძე
172. გიორგი ჩიაშვილი
173. გიორგი წილაკაძე
174. ირაკლი ქავთარაძე
175. სალომე კაპანაძე
176. რომან კვაჩახიძე
177. ლაშა გოგეშვილი

ბლოკი 5 საარჩევნო სუბიექტს აერთიანებს – ნაციონალური მოძრაობა, მოძრაობა – სახელმწიფო ხალხისთვის, პროგრესი და თავისუფლება (კახა ოქრიაშვილი, ცეზარ ჩოჩელი), საქართველოს რესპუბლიკური პარტია და ევროპელი დემოკრატები.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სად არის გახარია, რატომ ველარ იგერიებს კორონავირუსს?“

## გიგა მაქარაშვილი: „არ მეგულება ადამიანი, რომელიც ბედნიერია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნით“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს მოძრაობა „სირცხვილიას“ ლიდერი გიგა მაქარაშვილი პასუხობს.**

***– გიგა, „ქართულმა ოცნებამ“ 8-წლიანი მოღვაწეობის ციკლი დაასრულა. შეცდომები ვის არ ჰქონიაო, ასე განაცხადა კახი კალაძემ. თქვენი შეფასებები როგორია ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

– როგორც ჩანს, სტრატეგია შეცვალეს არჩევნების წინ. მანამდეც იყო კალაძის მხრიდან ნათქვამი, ჩვენ, შეიძლება, ვარსკვლავებს არ ვწყვეტთ, მაგრამ ყველაფერი შედარებითიაო. სამწუხაროდ, ძველ რიტორიკას მაინც ვერ ელევიან. იმის ნაცვლად, რომ ახალ გამოწვევებზე ისაუბრონ, რევოლუციური ცვლილებები დააანონსონ, ხომ ვხედავთ, „ოცნებიდან“ აღარავინ ლაპარაკობს კონკრეტულ გეგმებზე, რაც პირდაპირ ნიშნავს იმას, რომ ამ ეტაპზე კიდევ უფრო დაცარიელებული და დასუსტებულია „ქართული ოცნება“, რაც ძალიან ლოგიკურია. ეს ფონიც ძალიან მძიმეა მათთვის, კოვიდს თუ გავითვალისწინებთ.

***– ძალიან გაექცათ სიტუაცია?***

– რა თქმა უნდა, გაექცათ. ამოეფარნენ თეთრ ხალათებს და უაზროდ ყოყოჩობდნენ, უცებ სუპერმენი გახადეს გახარია, თითქოს გახარია იგერიებდა კოვიდის ძალიან მწვავე შემოტევას. თუმცა ახლა, როცა უკვე 448 ახალი შემთხვევა გვაქვს, საერთოდ აღარ ჩანს გახარია. აღარც ის განცხადებები გვესმის, რომ გახარია კარგად ებრძვის კოვიდს, ხვდებიან, რომ ამ პროცესს ფიზიკურად ველარ გააჩერებენ. ამ ყველაფერს თან ერთვის დამატებითი ფაქტორები, თუნდაც იგივე ყარაბაღის თემა, რომელიც აუცილებლად იმოქმედებს, თანაც ძალიან მძიმედ, რეგიონზე.

***– შიდა გამწვავებებიც უკვე სახეზეა. ჯგუფების დაპირისპირება ერთმანეთთან, ცემა-ტყეპა. ეს ყველაფერი შეუქცევად ხასიათს ხომ არ მიიღებს?***

– სამწუხაროდ, ეს ფილმი უკვე ნანახი გვაქვს. ნანახი გვაქვს, როგორ მთავრდება ქვების სროლა. როცა ხელისუფლება იწყებს ქვების სროლას, მაშინ ის უკვე განწირულია. ასე იყო შევარდნაძის შემთხვევაში, ასე იყო სააკაშვილის შემთხვევაში და ის, რაც დღეს ხდება, პირდაპირი ნიშანია იმისა, რომ სრულიად დაცარიელებული და გაუფასურებული „ქართული ოცნება“ ამ არჩევნებს ვერ ხვდება ისეთი რიხით, როგორც შეხვდა 2016 წელს.

***– თუმცა კახი კალაძე აცხადებს, ძალიან მაგარი სია გამოგვივიდაო. საკმაოდ თავდაჯერებულებიც არიან.***

– სასაცილოა. რომც არ მოსწონდეს კალაძეს, აქვს იმის უფლება, რომ რამე თქვას ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმების გარეშე?! რასაც ეტყვიან, იმას იმეორებენ. ესენი ხომ ყმები არიან, მონები არიან ბიძინა ივანიშვილის. არავის, მათ შორის არც კალაძეს, არა აქვს უფლება, საკუთარი აზრი დააფიქსიროს. „ქართული ოცნების“ ზუსტად 8 წლის თავზე, ნეიტრალური ადამიანების გადმოსახედიდან რომ შევხედოთ, ეს არის ყველაზე სუსტი ხელისუფლება, რაც კი ზვიად გამსახურდიას შემდეგ, იმ ძალიან მძიმე პერიოდის მერე გვყოლია. ყველა კვლევა, ყველა სტატისტიკა მიუთითებს, რომ ეს ხელისუფლება ასოცირდება მხოლოდ რეგრესთან. ლაპარაკია იმაზე, რომ რამდენიმეჯერ გაიზარდა საგარეო ვალი, არ გაზრდილა ეკონომიკა, გაუფასურდა ეროვნული ვალუტა, კიდევ უფრო მეტი ტერიტორია დავკარგეთ და საერთოდ თავმოყვარეობის ხაზიც კი დაიკარგა, იმიტომ, რომ ისე შემოდის ოკუპანტი ყოველდღიურად და ისე კვეთს საზღვარს, პასუხსაც კი არავინ სცემს ამაზე. ეს ნიშნავს იმას, რომ „ქართული ოცნების“ 8-წლიანი მოღვაწეობა სრულდება სრული კრახით.

***– თუმცა ამ ფონზე „ოცნების“ გენერალური მდივანი აცხადებს, მაჟორიტარულ ოლქებში პირველივე ტურში გავიმარჯვებთ, ხოლო პროპორციულში 60%-მდე ავიღებთო. რას ნიშნავს ეს განცხადება, საზოგადოების ყურს აჩვევენ, რომ ისევ მოდიან მესამე ვადით?***

– კი, ზუსტად ეს არის მათი ტაქტიკა. გვაჩვევენ იმას, რომ კონკრეტული პროცენტების დაწერა უნდათ. თუმცა „ქართული ოცნება“ ყველაზე პოპულარული როცა იყო, მაშინაც კი არ აუღიათ 50%-ზე მეტი და ძალიან სასაცილოა ამ პროცენტებზე საუბარი. 60% კი არა, ალბათ, 40%-ს თუ მიიღებს, ისიც დიდი გაჭირვებით, მთელი თავისი რესურსი რომ ჩადოს. ბიძინა ივანიშვილის ვიწრო წრის გარდა, ადამიანი არ მეგულება, ვინც ბედნიერია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნით. ერთმნიშვნელოვნად ყველაფერი ჩვენს ქვეყანაში გაუარესდა. გაუარესდა კრიმინალი, გაუარესდა ეკონომიკა. ერთმანეთის მიყოლებით კრიტიკას გვიგზავნის ყველა დასავლელი პარტნიორი. ამერიკამ საგანგაშო სიგნალი გამოგვიგზავნა.



***– მაქსიმუმ 40% აიღოს „ოცნებამო“, აცხადებთ. როგორ ფიქრობთ, ისევ „ქართული ოცნება“ მოვა, ოღონდ კოალიციით?***

– მე ვფიქრობ, რომ საკმაოდ ბევრი პარტია შევა პარლამენტში. ამას უკვე წყალი არ გაუვა. მჯერა რომ „ქართული ოცნება“ აღარ იქნება საკონსტიტუციო უმრავლესობით. ძალიან კარგია, რომ პარლამენტში ძალიან ბევრი პარტია იქნება. ეს ასევე ძალიან მნიშვნელოვანია გარდამავალი ეტაპისთვის, რომ კიდევ უფრო აჭრელდეს პოლიტიკური სპექტრი. მოვლენებმა ქუჩიდან უნდა გადაინაცვლოს შიგნით, საპარლამენტო ცხოვრებაში. ბუნებრივია, ეს პარლამენტი ვერ იქნება იდეალური, ვერ იქნება ისეთი ბალანსით, რომელიც უპირობოდ ქვეყანას უკეთესი მომავლისკენ წაიყვანს, თუმცა, მჯერა, ეს იქნება უკეთესი პარლამენტი, ვიდრე წინა ორი.

***– რას იტყვით ოპოზიციის შანსებსა და მათ შეცდომებზე? სერიოზული კრიტიკა ისმის მათი მისამართითაც.***

– სიმართლე რომ გითხრათ, ძალიან მწყდება გული, რომ ოპოზიციამ ვერ მოახერხა ბოლომდე მისვლა ერთიანი პოზიციით. ამ ძვირფას დროს ხარჯავენ ერთმანეთის ლანძღვა-გინებაში. ერთი თვეც აღარ არის დარჩენილი. გულდასაწყვეტია მათი ქმედება. საზოგადოების ლოზუნგი იყო – ყველა ერთის წინააღმდეგ, რის ირგვლივაც გავერთიანდით, თუმცა დღეს ყველა ერთმანეთის წინააღმდეგ არის და ამაზე ძალიან მწყდება გული. ბუნებრივია, ვერავის ვერაფერს მოსთხოვ. ამიტომ მოსახლეობა არჩევნებზე გააკეთებს თავის არჩევანს სწორედ იმ ბატალიების შემხედვარე, რომელსაც ახლა ვუყურებთ ყველანი. მოსახლეობა, სამწუხაროდ, არის ძალიან მოშიებული, დაშინებული, იმედდაკარგული. ამ ადამიანებს სჭირდებათ კონკრეტული გეგმები, კონკრეტული ხედვები, ვის და რატომ უნდა მისცენ ხმა.

***– პროცენტულად ძალიან მაღალია იმ ამომრჩევლის რიცხვი, რომელსაც არც ერთი პარტია არ მოსწონს. ეს ხმები როგორ გადანაწილდება?***

– რადგან წელს ჩვენი პოლიტიკური აჯენდა არ გვქონდა ამ არჩევნებში, გადავწყვიტეთ, ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ მოსახლეობა არჩევნებზე მივიდეს. ვცდილობთ, ყველა ასაკობრივ ჯგუფს მივაწვდინოთ ხმა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია არჩევნებზე მისვლა. ჩვენ გვყავს ასიათასობით 20 წლამდე ახალგაზრდა, რომელიც არჩევნებზე უბრალოდ არ მიდის. ზუსტად ამაზე ვმუშაობთ, რომ რაც შეიძლება ბევრი ადამიანი მივიდეს არჩევნებზე. რაც მეტი ადამიანი მივა არჩევნებზე, ეს ზრდის იმის შანსს, რომ ხელისუფლება შევცვალოთ არჩევნების გზით, კანონიერების გზით, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დემოკრატიული პროცესისთვის. ახლა გვაქვს იდეალური შანსი იმისთვის, რომ სილა გავაწნათ ოლიგარქს, რომელსაც ჰგონია, რომ ყველასა და ყველაფრის ყიდვა შეუძლია.

***– მოინდომებს ხმების ყიდვას?***

– ჩვენ ვხედავთ, რომ „ქართულმა ოცნებამ“, წინა ხელისუფლებების მსგავსად, ვერ ისწავლა ვერაფერი და ბოლო ერთი თვე იქნება ძალიან მძიმე. ვხედავთ, რა ხდება მარნეულში, ვხედავთ, როგორ იქცევა სახელისუფლებო გუნდი, რა განცხადებებს აკეთებენ, იმის მაგივრად, რომ კონკრეტულ გეგმებზე საუბრობდნენ. მარტო იმაზე ლაპარაკობენ, რომ აი, სააკაშვილი ბრუნდება და მარტო ამიტომ უნდა დარჩეს „ოცნება“. მე მგონია, ჩვენი მოსახლეობა ამ ყველაფერს კიდევ ერთხელ აღარ წამოეგება.

***– იმის თქმა გინდათ, რომ სააკაშვილი „ბუას“ როლს ველარ ითამაშებს?***

– სააკაშვილი ზუსტად იმ დოზით დატოვა ბიძინა ივანიშვილმა თამაშში, რა დოზითაც დასჭირდებოდა შემდეგი არჩევნების მოსაგებად.

***– სააკაშვილი ბოლო პერიოდში ზედმეტად გააქტიურდა. ეს ბიძინა ივანიშვილის წისქვილზე ხომ არ ასხამს წყალს?***

– არის ეს ვერსიაც, რომ სააკაშვილის გააქტიურება ეხმარება ბიძინა ივანიშვილს, რომ ისევ ის ნარატივი გაავრცელოს, რომელსაც წლების განმავლობაში ასე ყოჩაღად იყენებდა. თუმცა სააკაშვილი თავისი პოლიტიკური აჯენდით არის წარმოდგენილი. მას თავისი ამბიციები აქვს, პრემიერობის კანდიდატია გაერთიანებული ოპოზიციიდან და მას, ისევე, როგორც სხვას, ფიზიკურად ვერ დავუშლით, ისე აწარმოოს საარჩევნო კამპანია, როგორც თვითონ უნდა. უბრალოდ, ვისურვებდი, რომ პოლიტიკოსები უფრო მეტად უსმენდნენ ქვეყნის მოსახლეობის გულისცემას, უფრო მეტად გრძნობდნენ, რა სჭირდება ქვეყანას და ამის მიხედვით აკეთებდნენ თითოეულ განცხადებას. ეს ეტაპი როგორმე უნდა გადავიაროთ და ხელისუფლება უნდა შევცვალოთ არა ძალადობრივი, არა რევოლუციის, არამედ არჩევნების გზით.

# „წარმოუდგენელია, რუკა როგორ დაიკარგა?!“

## გიორგი ოთხმეზური: „2011 წელს გვითხრეს, რომ აზერბაიჯანული მხარე ამოვიდა და სასაზღვრო ჯარი განალაგა დავით გარეჯთან. მაშინ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლება გვიმტკიცებდა, რა ვქნათ, აზერბაიჯანის ტერიტორიააო. სატელიტი ისტორიკოსებიც ამას ამბობდნენ“

ნათია ხურცილავა

**ისტორიკოსი, პროფესორი გიორგი ოთხმეზური „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.**



***– ბატონო გიორგი, დავით გარეჯის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე მაინტერესებს თქვენი პოზიცია. როგორც ცნობილია, პროკურატურამ გამოძიება დაიწყო. კომისიის წევრების სახლში ჩხრეკა ჩატარდა. თუ გაქვთ კითხვა, რატომ ახლა და რეალურად რა შეიძლება მომხდარიყო?***

– მე თუ მკითხავთ, ადრე უნდა დაწყებულიყო გამოძიება. ვერ გეტყვით, რატომ დასჭირდათ ამდენი დრო და რატომ მაინცდამაინც ახლა. 2012 წელს რომ მოვიდნენ, მაშინვე უნდა დაწყებულიყო ამ საკითხის გარკვევა. ისე, ფაქტია, რომ ვიღაცამ რაღაც ისეთი გააკეთა, რაც სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული, ანტიეროვნული ნაბიჯია. კიდევ კარგი, საზღვრის დემარკაცია-დემილიტაცია არ არის მომხდარი. მერე უკვე ხმას ველარ ამოვიღებდით. ეტყობა, სიტყვიერი შეთანხმება იყო, მაგრამ მოქმედი მონასტერია დავით გარეჯი და ბერებმა ატეხეს ამბავი.

***– რუკის დაკარგვაზე გქონდათ ინფორმაცია? საერთოდ, სად ინახება რუკები?***

– წარმოუდგენელია, რუკა როგორ დაიკარგა?! რუკა იყო იქ და რა მოხდა, სად გაუჩინარდა, არ ვიცი. არავითარი ინფორმაცია არ მაქვს. კიდევ კარგი, იპოვეს.

90-იანი წლების კომისიამ საფუძვლად აიღო სწორედ 1938 წლის რუკა, რომელიც დაიკარგა, მაგრამ, კიდევ კარგი, იპოვეს. ამ რუკაზე საზღვარი მთის ძირში გადის. მაშინ, რუკები რომ კეთდებოდა, მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირში ადმინისტრაციულ საზღვარს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა და ამიტომ, არის რუკები, სადაც საზღვარი გადის უდაბნოს კომპლექსის ქვევით ანუ უდაბნო ჩვენ მხარეს არის და არის რუკები, სადაც თხემზე გადის საზღვარი.

მაშინ საზღვრები ასე პირობითად გადიოდა: ან მდინარესთან, ან მთის წვერზე, ან მთის ძირში.

ერთი წლის წინ საპატრიარქოში იყო შეხვედრა. ამ შეხვედრაზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, საზღვრის დაცვის წარმომადგენელი, ერთი სიტყვით, სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები იყვნენ. მეც გახლდით მიწვეული. ამ ადამიანებს ძალიან სწორი პოზიცია ჰქონდათ. ისინი ხელმძღვანელობდნენ სწორედ 1938 წლის რუკით, რომ საზღვარი ამ რუკის მიხედვით გავლებულიყო, თუმცა ჯერ კიდევ მაშინ გაჩნდა ეჭვი, რომ რაღაც ანტიეროვნულ ქმედებასთან გვქონდა საქმე.

2011 წელს გვითხრეს, რომ აზერბაიჯანული მხარე ამოვიდა და სასაზღვრო ჯარი განალაგა დავით გარეჯთან. მაშინ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლება გვიმტკიცებდა, რა ვქნათ, აზერბაიჯანის ტერიტორიააო. სატელიტი ისტორიკოსებიც ამას ამბობდნენ.

***– რამდენადაც ვიცი, ძველ სახელმწიფო კომისიას, რომელიც 90-იან წლებში მუშაობდა, აზერბაიჯანული მხარისთვის ჰქონდა შეთავაზება, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიის გაცვლა მომხდარიყო. ჩვენი მხარე მათ საძოვრებს სთავაზობდა, თუმცა არ დასთანხმდნენ. რატომ?***

– დიახ, ეს იყო 1988 წელს. იმ კომისიის წევრი დედაჩემი, მარიკა ლორთქიფანიძეც გახლდათ. პატიაშვილის წინადადება იყო, რომ სამჯერ მეტი ტერიტორია მიგვეცა მეურნეობისთვის, საძოვრებისთვის გამოსადეგი, ოღონდ ეს ეკლესიები ჩვენ მხარეს მოქცეულიყო. სულ ერთი-ორი შეხვედრა შედგა და მერე უკვე მოგეხსენებათ, რა ვითარებაც იყო ქვეყანაში. ჩაიშალა ეს მუშაობა.

***– სტრატეგიული სიმაღლეა აზერბაიჯანისთვის, ასევე, დიპლომატიურ ურთიერთობებში იყენებს, როგორც კოზირს და ამიტომ არ აწყობს. შეიძლება ასეა?***

– რა გითხრათ. უდაბნო ჰქვია იქაურობას. ჩვენთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი, თორემ აზერბაიჯანისთვის რა მნიშვნელობის არის, ვერ გეტყვით.

რამდენიმე ასპექტი არსებობს: პოლიტიკური, რელიგიური, კულტურულ-ისტორიული. ყველა ასპექტიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად შემიძლია, როგორც ისტორიკოსმა, დაგიდასტუროთ, რომ დავით გარეჯი ქართული კულტურის, მართლმადიდებლური ძეგლია. წლების განმავლობაში დავდიოდი და თითოეული ფრესკა, თითოეული გოჯი მიწა ვიცი.

დავით გარეჯი უზარმაზარი სამონასტრო კომპლექსი იყო. სამწუხაროდ, მეფის რუსეთისა და შემდეგ უკვე საბჭოთა კავშირის დროს ბერთუბანი საზღვრის იქით ანუ აზერბაიჯანულ მხარეს მოექცა. სამწუხაროდ, სწორედ ამიტომ ბერთუბნის ეკლესიაზე ვერ ვიდავებთ, თუმცა ძეგლი, რასაკვირველია, ქართული კულტურის ნიმუშია, სადაც ლაშა-გიორგისა და თამარის პორტრეტებია გამოსახული ფრესკებზე.

***– აზერბაიჯანული მხარე აცხადებს, რომ ეს ძეგლები ალბანური წარმოშობის არის და არავითარი საერთო არ აქვს ქართულ მართლმადიდებლურ კულტურასთან. თქვენ რა არგუმენტი გაქვთ?***

– როგორ არის, როდესაც ყველა მონასტერში ქართველი მეფეები არიან გამოსახული, ყველგან ქართული წარწერებია. ისე გაგიჟდნენ შირვანშაჰები, რომ ქართველ მართლმადიდებელ მეფეებს გამოსახავდნენ თავიანთ ძეგლებზე?! მერე, მე-9, მე-10 საუკუნეში სად არიან ეს ალბანელები?! საერთოდ აღარ ჩანან. სხვათა შორის, ალბანური დამწერლობა არსებობს და, თუ ალბანური ძეგლია დავით გარეჯი, მაშინ რატომ არის ქართული დამწერლობა ყველგან?! პოლიგლოტური დამწერლობაც გვხვდება, სამოთხენოვანი, მაგრამ არა – ალბანური. რატომ, თუ ალბანური ძეგლია? ერთი სიტყვით, დავით გარეჯის ალბანიზაციის თეორია აბსურდია და მეტი არაფერი. მას ისტორიასთან და რეალობასთან არავითარი საერთო არ აქვს. ყველა ასპექტით ეს არის ქართული კულტურის ძეგლი.

კიდევ ერთი არგუმენტი: როდესაც იქ პოლიგონი იყო განთავსებული, მაშინ თავი არ შეუწუხებიათ აზერბაიჯანელებს, იქაურობა რომ ნადგურდებოდა. ასევე, როდესაც პოლიგონის გატანაზე იყო საუბარი, არც მაშინ შეუწუხებიათ თავი. თუ ასე ძალიან სტკიოდათ გული, რატომ არაფერს აკეთებდნენ?! მეტიც, საერთოდ არ იყვნენ დაინტერესებულნი, რა ხდებოდა იქ. როდესაც სამხედრომ ყუმბარა ესროლა მონასტერს და ბერთუბნის ეკლესიის კედლის წინა მხარე ჩამოინგრა, მაშინ თამარისა და გიორგის ფრესკა ჩამოინგრა. ჩვენმა რესტავრატორებმა ჩუმად მოხსნეს ეს ფრესკა და მუზეუმში წამოიღეს, არც კი გაუგიათ არაფერი, არც დაინტერესებულა არავინ.

იმედი მაქვს, როგორც 1938 წლის რუკაზე არსებობს საზღვარი დატანილი, სწორედ ისე იქნება საზღვრის დემარკაცია-დემილიტაცია და ერთხელ და საბოლოოდ ეს საკითხი გადაწყდება.

# დავით ლორთქიფანიძე: „ოცნებამ“, შეიძლება, ამომრჩევლის 1-2% დაკარგოს“

გულიკო ბალაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ დავით ლორთქიფანიძე პასუხობს.

*– ბატონო დავით, „ოცნება“ აცხადებს, რომ იმდენ ხმებს აიღებს, კოალიციური მთავრობა საჭირო არ იქნება, მაგრამ, „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერების განცხადებით, თუ ვინმე „ქართულ ოცნებას“ აძლევს ხმას, უნდა იცოდეს, რომ ის ხმას აძლევს კობახიძე-ბოკერია-სააკაშვილის შერეულ მთავრობას. მართლა ასეთი კომბინაციით შემდგარ მთავრობას უნდა ველოდოთ?*

– ეს ყველაფერი გათვლილია საარჩევნო მხარდამჭერების მობილიზებაზე. ჩვენს ქვეყანაში ყველა ძალას აქვს უფლება და საშუალება, თავისუფლად იმოქმედოს კანონის ფარგლებში.

*– კი, თქვენ ამბობთ, რომ ასეთი განცხადება ამომრჩევლების მობილიზებას ემსახურება, მაგრამ როგორ მიიღებს ამას თქვენი ამომრჩეველი? არ ფიქრობთ, რომ ამან შეიძლება, მხარდამჭერები ჩამოგაცილოთ?*

– როდესაც პოლიტიკური ძალა ხელისუფლებაშია (ჩვენ მეორე ვადით ვართ ხელისუფლებაში), მას უნდა ჰქონდეს კარგად აწყობილი პარტიული სტრუქტურები. ამით შენ წინ ხარ.

*– თქვენ მესამე ვადით გინდათ, მოხვიდეთ ხელისუფლებაში. მოგეხსენებათ, რამდენი პორტირებული ნაციონალი იყო „ოცნებაში“. მათგან ზოგი ნაცმოძრაობას დაუბრუნდა. როდესაც ამომრჩეველს ესმის, რომ შეიძლება, „ოცნებამ“ კოალიცია შეკრას ნაციონალებთან, ეს პასუხგასაცემი საკითხი მაინც არის. რატომ არ პასუხობთ?*

– როგორ არ ვპასუხობთ. ამომრჩეველთან იმ ფორმით უნდა აწარმოო საარჩევნო კამპანია, თუნდაც ერთი ასეთი განცხადებით ისინი არ დაკარგო.

*– ანუ არ გეშინიათ, რომ მხარდამჭერებს დაკარგავთ?*

– ამომრჩეველი თავის არჩევანში თავისუფალია. ყოველი არჩევნების დროს ამომრჩევლის დაბნევა ხდება. ის ამომრჩეველი, რომელიც თავის არჩევანში გარკვეული არ არის, შეიძლება, დავკარგოთ, მაგრამ მათი რიცხვი დიდი არ იქნება. ასეთი ამომრჩეველი 1-2%-ს თუ შეადგენს, რომელიც, შეიძლება, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

თუ ამომრჩეველს 8 წლის თავზე ჩვენ მიმართ ნდობა არ აქვს და ერთი კონკრეტული პარტიის განცხადების გამო, შეიძლება, ამომრჩეველი დავკარგოთ, მაშინ რა ვქნათ.

*– კრიზისული სიტუაცია რომ შეიქმნას, გამოსავალი კი ან ბოკერიასთან კოალიციის შექმნა იყოს, ან განმეორებითი არჩევნები, ბოკერიასთან კოალიციას არ შექმნით?*

– მე არ შემიძლია, პარტიის სახელით რაიმე გადაწყვეტილებაზე ვილაპარაკო. მე, როგორც ერთმა პოლიტიკოსმა, როგორც პარტიის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და ქართულ სივრცეში ცნობადმა პიროვნებამ, მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ ასეთი რამ გამორიცხული იქნება. თუ შედეგად პარლამენტი ვერ შეიკრიბება, სხვა დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღება შეიძლება.

*– თუ მთავრობა ვერ შეიქმნება?*

– ანუ საუბრობთ იმ ვითარებაზე, როდესაც პოლიტიკურ ძალას ხმების 40, 59% (ჩამკეტი) არ აქვს მიღებული და ის მთავრობას ვერ აკომპლექტებს.

*– დიახ, თუ ვერც ერთმა პოლიტიკურმა ძალამ ვერ მიიღო ხმების ამდენი რაოდენობა, მაშინ რა ხდება?*

– არჩევნებამდე დიდი დროა. თუ ასე მოხდება, მაშინ ეს საკითხი „ოცნების“ პოლიტსაბჭოს გადასაწყვეტი იქნება. თქვენგან განსხვავებით, მე არ მგონია, რომ ამ არჩევნებზე ჩვენ 40, 59%-ს ვერ ავიღებთ. თუ ასეთი რამ მოხდება, ამ შემთხვევაში არსებობს სხვა დემოკრატიული გზები. წინასწარ აპოკალიფსის დახატვა არ მინდა.

*– აპოკალიფსი რომ იყოს, მაშინ „ოცნების“ პოლიტსაბჭო მხარს დაუჭერს ბოკერიასთან კოალიციის შექმნას?*

– მე ვფიქრობ, რომ „ოცნების“ პოლიტსაბჭო ბოკერიასთან კოალიციას მხარს არ დაუჭერს.

*– სხვათა შორის, ბოკერია ამომრჩეველს გარდამტეხ ცვლილებებს ჰპირდება. ბოკერია გარდამტეხ ცვლილებებს ვერ მოახერხებს? ხომ შეიძლება, ბოკერიამ 40% აიღოს?*

– თუ ასეთი რამ მოხდება, დემოკრატიის საქმე ძალიან ცუდად დამთავრდება.

*– დემოკრატიის საქმე იქნება ცუდად თუ ქვეყნის საქმე?*

– ამ შემთხვევაში ჩემთვის დემოკრატია და ქვეყანა ცალ-ცალკე არ განიხილება. ჩვენ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ და ვერ წარმომიდგენია, ასე მოხდეს. ვფიქრობ, ბოკერიასა და მისი გუნდის „თავდადება“ წინასაარჩევნო პერიოდში, რასაც ისინი ავლენენ, რეალობასთან ახლოს არ არის.

# „სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი შეზღუდული ომის ფარგლებშია“

## ვახტანგ მაისაია: „მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაშია. ორივე მხარეს სერიოზული დანაკარგებია. ამიტომ ომის გაგრძელება დაუშვებელია. ეს ბრძოლა უნდა შეჩერდეს, თორემ ლოკალური ომი, შეიძლება, რეგიონულ ომში გადაიზარდოს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.

*– ბატონო ვახტანგ, სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი განახლდა და ამჯერად უფრო ფართო მასშტაბი მიიღო. როგორ აფასებთ მდგომარეობას?*

– სამწუხაროდ, ჩემი პროგნოზი კვლავ გამართლდა. სამხედრო პოლიტოლოგიის ენაზე ეს არის კლასიკური ლოკალური ომი, რის დიდი ალბათობაც იყო, რადგან ორ ქვეყანას შორის საომარი მოქმედებებია. ამ სამხედრო დაპირისპირებაში ლოკალური ომის ყველა სახეობა მონაწილეობს. ბრძოლა მიმდინარეობს აზერბაიჯანის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მთიანი ყარაბაღის უსაფრთხოების ზონაში, როგორც ამას სომხები უწოდებენ.

პოლიტიკურ დონეზე ჯერ სრულმასშტაბიანი ომი არ არის.

*– რატომ?*

– იმიტომ, რომ მხარეებს ერთმანეთისთვის ომი ჯერ არ გამოუცხადებიათ, თუმცა გამოცხადებულია სამხედრო მდგომარეობა. ორივე ქვეყანაში გამოცხადებულია საყოველთაო მობილიზაცია. პირველი და მეორე ხარისხის რეზერვისტები გამოძახებული ჰყავთ, სერიოზული სამობილიზაციო პროცესი ფიქსირდება.

თუკი სომხეთის რესპუბლიკა აღიარებს ე.წ. მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობას, მაშინ დაიწყება სრულმასშტაბიანი პოლიტიკური ომი. ამიტომ აქ უკვე საუბარია იმაზე, რომ ბრძოლები გაგრძელდება ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე და შეიძლება ჩაერთონ რეგიონული ჰეგემონები, თურქეთი და რუსეთი. მათ გააჩნიათ პირდაპირი ვალდებულება როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს.

*– ამ შემთხვევაში რუსეთი მომლაპარაკებლის როლს ირგებს, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კი მოუწოდებს სომხეთს, დატოვოს აზერბაიჯანის მიწები. როგორც მინისტრის განცხადებით ირკვევა, შეიძლება, თურქეთი ფიზიკურადაც ჩაერთოს ამ კონფლიქტში. ასეთ შემთხვევაში კონფლიქტი მართლაც ფართომასშტაბიან სახეს მიიღებს.*

– ჯერჯერობით თურქეთისა და რუსეთის ჩართვის მიზეზი არ არსებობს, რადგან ბრძოლები მიმდინარეობს აზერბაიჯანის ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებში. მართალია, მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის ტერიტორიაა, მაგრამ ითვლება, რომ ოკუპირებულია მეორე მხარის სეპარატისტული ძალების მიერ.

თუმცა საბრძოლო მოქმედებებში ორივე მხარის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები არიან ჩართული. სომხეთის თავდაცვის მინისტრი სტეფანაკერტშია და საბრძოლო მოქმედებებს იქიდან ხელმძღვანელობს. ბუნებრივია, ამ კუთხით სიტუაცია ძალიან რთულია. რამდენად გადაიზრდება ფართომასშტაბიან პროცესებში, ამის თქმა ძნელია.



მე ვეძებდი დოკუმენტს და ვიპოვე, რომ 2010 წელს თურქეთმა და აზერბაიჯანმა ხელი მოაწერეს „სტრატეგიული თანამშრომლობისა და სამხედრო დახმარების შესახებ“ ხელშეკრულებას. ხელშეკრულების მე-2 მუხლი სიტყვასიტყვით ამბობს: თუ ერთ მხარეს განხორციელდება სამხედრო თავდასხმა ან აგრესია მესამე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის მხრიდან, მაშინ ორივე მხარე აღმოუჩენს დახმარებას ყველა არსებული საშუალების ფარგლებში.

*– წინა დაპირისპირების დროს ბრძოლები აზერბაიჯანის ოკუპირებულ ტერიტორიას, ყარაბაღს ხომ გასცდა? მაშინ ბრძოლები ყარაბაღში არ იყო.*

– კი, მაგრამ ის იყო შეზღუდული სამხედრო კონფლიქტი, რომელიც შემდეგ გადაიზარდა დაბალი ინტენსივობის სამხედრო კონფლიქტში. მაშინაც იყო ლოკალური სამხედრო შეტაკებები საზღვრისპირა ტერიტორიებზე, რომელმაც შემდგომში განვითარება არ ჰპოვა.

*– როგორ?*

– მხარეებს არ გამოუყენებიათ საბრძოლო ავიაცია, არ გამოუყენებიათ შემტევი სტრატეგიული სამხედრო ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები. ახლა აზერბაიჯანი უკვე იყენებს საბრძოლო ავიაციას, დრონებს, მათ შორის, შემტევ დრონებს. სომხეთმა დაიწყო მსხვილკალიბრიანი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების გამოყენება.

ასევე სომხეთის სამხედრო ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მას შეუძლია მიიღოს ადეკვატური ზომები, რათა აზერბაიჯანის შეტევა შეაჩეროს, მათ შორის, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ანალოგიური ტიპის დარტყმები განახორციელოს. საუბარია საბრძოლო ავიაციის გამოყენებაზე ანუ აქ უკვე ლოკალური ომის სიტუაციაა. ორი დონე არსებობს. ერთია პოლიტიკური მდგენელი, მეორეა გეოსტრატეგიული მდგენელი ანუ სამხედრო-სტრატეგიული. გეოსტრატეგიული კუთხით ლოკალური მასშტაბის ომია. ორივე ქვეყნის შეიარაღებული ძალები ჩაბმული არიან არსებულ საბრძოლო ოპერაციებში.

უბრალოდ, ამ ლოკალურ ომს არ მიუღწევია პოლიტიკური სრულმასშტაბიანი ომის საზღვრებისთვის და კონფლიქტი მაინც შეზღუდული ომის ფარგლებშია. თუ მასშტაბი გაფართოვდა, ეს ომი შეიძლება გადაიზარდოს რეგიონული ომის ფორმებში, სადაც შეიძლება ჩაერთონ თურქეთი და რუსეთი.

რუსეთი ალაპარაკდა რეგიონულ ომზე, კავკასიის ომზე, რაც ძალიან ცუდი იქნება ჩვენი რეგიონისთვის. საქართველო სამხრეთ კავკასიის მესამე ქვეყანაა. ფართომასშტაბიანი ომის შემთხვევაში რა გველოდება? სანამ ეს ომი განახლდებოდა, საქართველოში აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი იმყოფებოდა და დავით გარეჯის შესახებ იყო მოლაპარაკება, რა დროსაც ზალკალიანმა დოკუმენტები და რუკები გადასცა და განაცხადა, რომ იმედი აქვს, სიტუაცია შეიცვლება ანუ არსებულ სიტუაციაში დავით გარეჯის საკითხიც დგას.

*– აზერბაიჯანი აცხადებს, საომარი მოქმედებები თავდაპირველად სომხეთმა დაიწყოო.*

– სომხეთი აცხადებს, რომ საომარი მოქმედებები პირველად აზერბაიჯანმა დაიწყო, აზერბაიჯანი აცხადებს, სომხეთმა დაიწყოო. მნიშვნელობა არ აქვს, შეიძლება, პროვოკაცია მოხდა აზერბაიჯანის მხარეს, აზერბაიჯანმა მომზადებულად დაიწყო საბრძოლო მოქმედებები, უფრო მობილიზებული ძალებით განახორციელა შეტევა და სტრატეგიული ინიციატივაც მოიპოვა.

*– სომხურმა მხარემ სიტუაცია ხომ არ გაათანაბრა?*

– სომხურმა მხარემ რამდენად გაათანაბრა სიტუაცია, რთულია თქმა. ორივე მხარე იცავს სამხედრო ცენზურას, ინფორმაცია აბსოლუტურად დახშულია. სომხეთში ინტერნეტი გათიშულია. კავშირი ძალიან რთულად მყარდება. აქედან გამომდინარე, ორივე მხარე ფსიქოლოგიური ომის დონეზე გადავიდა. ორივე მხარე თავის სამხედრო წარმატებებზე აცხადებს და ამბობს, რომ ეს სინამდვილეა.

აზერბაიჯანულმა მხარემ განახორციელა პირდაპირი შეჭრა თავისი ტერიტორიის დასაბრუნებლად. როგორც ჩანს, აზერბაიჯანის სამხედროების პირდაპირი ამოცანაა, როგორმე დაიბრუნოს კუთვნილი ოკუპირებული ტერიტორია, რომელიც მთიან ყარაბაღს გარშემო არტყია, რომ შემდგომში მთიანი ყარაბაღის სიმაღლეები დაიკავოს. თუკი მას გათავისუფლებული ექნება ოთხივე რეგიონი, შემდეგ მიაღწიოს მთიან ყარაბაღში პლაცდარმის შექმნას შემდგომი წარმატების განსავითარებლად, როგორც ამას სამხედრო-გეოსტრატეგიული ანალიზი მიგვითითებს.

მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაშია. ორივე მხარეს სერიოზული დანაკარგებია. ამიტომ ომის გაგრძელება დაუშვებელია. ეს ბრძოლა უნდა შეჩერდეს, თორემ ლოკალური ომი, შეიძლება, რეგიონულ ომში გადაიზარდოს.

*– ამბობთ, ომი უნდა შეჩერდესო, მაგრამ, როგორც ჩანს, აზერბაიჯანს განზრახული აქვს, ბოლომდე იბრძოლოს ტერიტორიების დასაბრუნებლად.*

– დიახ, როგორც ჩანს, მისი მიზანია, დაიკავოს ოთხი რეგიონი, შეუტიოს თავის სუვერენულ ტერიტორიას, შესაბამისად, სეპარატისტულ მთიან ყარაბაღში შექმნას პლაცდარმი, შემდეგ შეეცადოს მის გაფართოებასა და მთიანი ყარაბაღისა და სამი ოკუპირებული ტერიტორიის გათავისუფლებას.

# „8 წლის წინ თეორიულადაც ვერ წარმოვიდგენდი, რომ დღეს ეს რეალობა გვექნებოდა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

*თეორიულად თუ მაინც წარმოიდგენდით ამ რეალობას, როდესაც თქვენც იმ გუნდის წევრი იყავით?*

– არა, სამწუხაროდ, ვერ წარმოვიდგენდი. ოპტიმისტი ვიყავი და ოპტიმისტურად ვუყურებდი პროცესებს. ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, რომ ამდენად სერიოზული დეგრადაცია იქნებოდა.

*– კალაძე ამბობს, ბევრი რამე გავაკეთეთო. ყურში მომხვდა ის ნაწილი, სადაც ამბობს, ყველაზე მეტად დავუახლოვდით დასავლეთს, ვიდრე აქამდე ვყოფილვართო. ასეა?*

– როდესაც დასავლეთი თავად არის დაინტერესებული, ინერციით ჩვენ მაინც მივიწევთ წინ. ინერციით წინ მივდივართ ამ გზაზე, ნებსით თუ უნებლიეთ, მაგრამ ეს „ოცნების“ დამსახურება კი არ არის, არამედ ეს არის ინერციის დამსახურება და მეტი არაფერი.

*– მაგრამ საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები – ოკუპაცია და ა.შ. საერთაშორისო თანამეგობრობის დღის წესრიგში არის?*

– ბოლო 1 წლის განმავლობაში უპრეცედენტო, უმძიმესი განცხადებები მოვისმინეთ. რანაირად ვართ?! უმძიმესი განცხადებები მოვისმინეთ როგორც ამერიკის სენატიდან და კონგრესიდან, ასევე ევროპარლამენტიდან და სხვა ინსტიტუტებიდან. აცხადებენ, რომ ქართული დემოკრატია სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა და ეს ყველაფერი ბოლო 1 წლის განმავლობაში მოხდა. შესაბამისად, რა გვაქვს საამაყო, გაუგებარია.

*– უკვე ტოლობის ნიშანი ისმევა არჩევნების კარგად ჩატარებასა და საქართველოს ნატოს პერსპექტივებთან დაკავშირებით.*

– ეს არის დასავლური სტანდარტი. დასავლეთის წითელი ხაზი არის არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება. ბუნებრივია ეს. მათი სტანდარტით ეს არის მთავარი ინდიკატორი იმისა, რომ შენ გინდა, საერთაშორისო სტრუქტურებში შენი ინტეგრაციის პროცესი წავიდეს.

*– გამოქვეყნებული რეიტინგების მიხედვით, რეალურია თუ უნდა ველოდოთ, რომ ეს შეიცვლება?*

– ჩემი აზრით, რეალური არ არის, ტენდენციებს კი ასახავს და „ქართული ოცნება“ პირველ ადგილზე რომ არის, ამაში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ არ არის რეალური. ამ ყველაფერს აკეთებენ ალოკაციით, მაშინ, როდესაც გადაუწყვეტელი ამომრჩევლის რაოდენობა ძალიან დიდია. ამომრჩევლის სრული ალოკაცია შეუძლებელია, მხოლოდ ნაწილობრივი ალოკაციაა შესაძლებელი. ამომრჩევლის რაღაც პროცენტის არჩევანი შეიძლება გავარკვიოთ, მაგრამ ამომრჩევლის უმრავლესობას არა აქვს გადაწყვეტილება მიღებული. მათ არ აქვთ გადაწყვეტილება მიღებული და როგორ უნდა დაადგინო ეს შენ? შესაბამისად, არამეცნიერულია და აცდენილია რეალობას. ალოკაციის მეთოდით რეიტინგების დადგენა პროპაგანდისტულ ხასიათს იძენს.

*– საერთოდ როგორ ხდება ხოლმე რეალური სურათის დადგენა და როდის იკვეთება ეს?*

– არჩევნებზე, მით უმეტეს ახლანდელ სიტუაციაში, როდესაც გადაუწყვეტელი ამომრჩევლის რაოდენობა კრიტიკულია, შეიძლება ითქვას, რომ უპრეცედენტო რაოდენობა, არა ის ამომრჩეველი, რომელიც არ ამბობს თავის არჩევანს, არამედ ის ამომრჩეველი, რომელსაც რეალურად არ აქვს არჩევანი. ასეთი დიდი რაოდენობით ეს სეგმენტი არასოდეს ყოფილა. შესაბამისად, ვითარება ბუნდოვანია. ხელისუფლება პირველ ადგილზეა, მაგრამ კითხვის ნიშანი ძალაშია.

*– ანუ ის ვითარება გვაქვს, რომ, შესაძლოა, ამომრჩეველმა გადაწყვეტილება ბოლო დღეებში ან თუნდაც ბოლო საათებშიც კი მიიღოს?*

– არა, ბოლო საათებში და ბოლო დღეებში არ მიიღებს, მაგრამ ბოლო ორი კვირის განმავლობაში მოხდება საბოლოო არჩევანის ფორმირება.

# ექიმი ვახტანგ ყიფიანი 50.000-ლარიანი გირაოთი გამოუშვეს

კომაში მყოფი ნათია ცირეკიძის საქმეზე „თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს“ ბრალდებულ ექიმს ვახტანგ ყიფიანს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა 50.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ შეეცვალა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნატო ხუჯაძემ გამოაცხადა.

ნათია ცირეკიძის ოჯახის ადვოკატის, გაიოზ ჩარკვიანის განცხადებით, კლინიკამ თავის თავზე აიღო ცირეკიძის ჯანმრთელობის საკითხის უზრუნველყოფა. მისივე განმარტებით, მათ მოთხოვნაში შედის ასევე სრულყოფილი მკურნალობის ჩატარება და პაციენტის საზღვარგარეთ მკურნალობა.

საქმის პროკურორ დავით გუმბერიძის განცხადებით, ბრალდების მხარე დაკავებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის შეცვლას მას შემდეგ დასთანხმდა, რაც კლინიკამ საკუთარ თავზე გარკვეული ვალდებულებები აიღო.

– ჩვენ წინაშე წარმოდგენილ იქნა დამცველი ადვოკატების მიერ ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტი და ასევე უშუალოდ დაზარალებულთან გასაუბრების შემდეგ ჩვენ დავადგინეთ, რომ კლინიკა, თავის მხრივ, იღებს ვალდებულებას და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში სათანადო მკურნალობას გაუწევს პაციენტს, ასევე ის მატერიალური ზიანი, რაც გააჩნდა ოჯახს მთელი ამ 2 წლის განმავლობაში მათი მხრიდან სრულად იქნა ანაზღაურება. შესაბამისად, საქართველოს პროკურატურა სრულად იზიარებს დაზარალებულის პოზიციას და მხოლოდ ამ მოცემულობით დავეთანხმეთ აღკვეთის ღონისძიების შეცვლას, – განაცხადა გუმბერიძემ.



თბილისის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს თანამშრომლებმა, სამსახურებრივი გულგრილობის, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით თაღლითობისა და უკანონო საექიმო საქმიანობის ფაქტზე, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, „თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს“ დირექტორი გიორგი ლობჟანიძე და ამავე კლინიკის ექიმი ვახტანგ ყიფიანი დააკავეს, ხოლო უკანონო საექიმო საქმიანობის ფაქტზე მაგდა ხოჭოლავას მიმართ დაუსწრებლად იქნა გამოტანილი დადგენილება ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

პროკურატურის ინფორმაციით, „თბილისის ცენტრალურ საავადმყოფოში“ პაციენტს ოპერაცია იტალიიდან მოწვეული ექიმების ნაცვლად შესაბამისი ლიცენზიის არმქონე პირებმა გაუკეთეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, „თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს“ დირექტორ გიორგი ლობჟანიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით – 100.000-ლარიანი გირაო, ვახტანგ ყიფიანს – 50.000-ლარიანი გირაო, მაგდა ხოჭოლავას კი პატიმრობა აქვს შეფარდებული.

# კახეთში პედოფილიაში ბრალდებული მამაკაცი, რომელსაც 13 წელი მიუსაჯეს, გაიქცა

1 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ 5 წლის ბავშვის მიმართ სექსუალური ხასიათის ქმედების ჩადენაში 58 წლის მამაკაცი დამნაშავედ ცნო.

აღნიშნული გადაწყვეტილებით, სააპელაციო სასამართლომ გურჯაანის რაიონული სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი გააუქმა და ბრალდებულს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით გენერალური პროკურატურა ინფორმაციას ავრცელებს.

უწყების ცნობით, პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ მამაკაცმა გასული წლის ზაფხულში 5 წლის გოგონასთან სექსუალური ხასიათის ქმედება განახორციელა.

„თბილისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის სააპელაციო საჩივარი, გააუქმა გურჯაანის რაიონული სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი და 5 წლის ბავშვის მიმართ სექსუალური ხასიათის ქმედების ჩადენაში ა.ა. დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახედ და ზომად 13 წელი განუსაზღვრა. პროკურატურამ სასამართლო პროცესზე წარადგინა საქმეზე მოპოვებული ყველა უტყუარი მტკიცებულება, რითაც დადასტურდა, რომ 2019 წლის ზაფხულში, ლაგოდეხის რაიონის ერთ-ერთ სოფელში 58 წლის ა.ა.-მ 5 წლის გოგონასთან სექსუალური ხასიათის ქმედება განახორციელა.

აღსანიშნავია, რომ პროკურატურის მიერ წარდგენილი უტყუარი მტკიცებულებების მიუხედავად, გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე ა.ა. წარდგენილ ბრალდებაში 13 მაისის გადაწყვეტილებით გაამართლა, რასაც პროკურატურა კატეგორიულად არ დაეთანხმა და სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

სააპელაციო სასამართლომ პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ა.ა. დამნაშავედ ცნო 138-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, ძალადობითა და დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

საქართველოს პროკურატურა მსგავსი კატეგორიის საქმეებზე უმკაცრეს სისხლის სამართლის პოლიტიკას ატარებს, რასაც მომავალშიც გააგრძელებს“, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



❖ ❖ ❖

პედოფილიაში ბრალდებული 59 წლის მამაკაცი, რომელსაც სააპელაციო სასამართლომ 13-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა, მიიმალა.

დაზარალებული გოგონას ბაბუის განცხადებით, დამნაშავე გუშინ, დღის პირველ ნახევარში, საკუთარმა შვილმა და ნათესავმა მიმალვის მიზნით ავტომობილით წაიყვანეს.

– ფეხზე დგას კახეთის პოლიცია. რეიდებია. ეძებენ დამნაშავეს. მე მივაწოდე ინფორმაცია მისი გაუჩინარების შესახებ პოლიციელებს. დაახლოებით 2 საათისთვის პედოფილი საკუთარმა შვილმა და ქვისლმა ავტომობილში ჩაისვეს და თბილისის მიმართულებით წაიყვანეს. ჩემმა ცოლმა დაინახა თავისი თვალით, ბავშვები რომ გამოჰყავდა სკოლიდან. რადგან პირველმა ინსტანციამ გაამართლა, სააპელაციოს პროცესებს არ ესწრებოდა. მისი ადვოკატები დადიოდნენ მხოლოდ. ალბათ, არ ეგონა, თუ მიუსჯიდნენ. სხვა არაფერი ვიცი ამ ეტაპზე, – განუცხადა „ამბებს“ დაზარალებულის ბაბუამ.

# დავით გარეჯის კომისიის ყოფილი თავმჯდომარის ოფისი და სახლი გაჩხრიკეს



1 ოქტომბერს დავით გარეჯის კომისიის ყოფილი თავმჯდომარის ივერ მელაშვილის ოფისსა და საცხოვრებელ სახლში ჩხრეკა ჩატარდა.

როგორც მელაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ფართობების გადაცემა ან, რაღაცის დათმობა აზერბაიჯანის სასარგებლოდ, გამორიცხულია. მისივე თქმით, მსგავსი ფაქტი არც ძველ კომისიაში მომხდარა და არც ახალში მოხდება.

– ჩხრეკა ჩაატარეს სახლში, შემდეგ სამუშაო ოთახში. ყველანაირ მასალას ეძებდნენ, წაიღეს უამრავი მასალა შესწავლის მიზნით. მოგეხსენებათ, რომ პროკურატურას აღძრული აქვს საქმე და დაწყებულია გამოძიება. რუკები, შეთანხმების ოქმები, სხვადასხვა ისტორიული დოკუმენტები. განახორციელეს ჩხრეკა და არ ვიცი, შემდგომ რა მოქმედებები ექნებათ.

ის შემიძლია ვთქვა, რომ რაც ამ ბოლო დროს გავრცელდა, რომ ფართობების გადაცემა და რაღაცის დათმობა აზერბაიჯანის სასარგებლოდ, ამისთანა რამ გამორიცხულია. არც ძველ კომისიაში მომხდარა ასეთი და არც ახალში, იმედია, არ მოხდება ამისთანა, წარმოუდგენელია, – განაცხადა ივერ მელაშვილმა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში სისხლის სამართლის საქმეზე, უცხო ქვეყნისთვის საქართველოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემისკენ მიმართული მოქმედების განხორციელების ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 308-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით გამოძიება დაიწყო.

# ელენე ბაშარულის სიკვდილისთვის დაკავებულ გ.დ-ს პატიმრობა შეეფარდა



პროკურატურამ ქ.რუსთავში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე, რამაც 16 წლის ელენე ბაშარულის გარდაცვალება გამოიწვია, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 28 სექტემბერს, დაახლოებით 22:45 საათზე, ქ. რუსთავში, რუსთაველის ქუჩაზე გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავმა გ.დ.-მ ვერ უზრუნველყო ავტომანქანის უსაფრთხოდ მართვა და თავისივე სამოძრაო ზოლში შეეჯახა ქვეითად მოსიარულე ე.ბ.-ს, რომელიც ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ადგილზე გარდაიცვალა. გ.დ.-მ არ გააჩერა ავტომობილი და მიიმალა შემთხვევის ადგილიდან.

სამართალდამცველებმა გ.დ. 29 სექტემბერს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილითა (ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია) და 128-ე მუხლით (დაუხმარებლად იმის მიტოვება, ვინც სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფება და შესაძლებლობა არ ჰქონდა, მიეღო ზომები თავის დასაცავად) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით ითვალისწინებს.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ბრალდებულ გ.დ.-ს რუსთავის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა“, – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# კახეთში ნახევარი ტონა საფერავის მოპარვისთვის 4 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ყვარლის მუნიციპალიტეტში ვენახებიდან ყურძნის ქურდობის მცდელობის ფაქტზე 4 პირი დააკავეს. სხვისი ქონების ქურდობის მცდელობის ბრალდებით დაკავებული არიან: 1993 წელს დაბადებული ვ.ზ. 1996 წელს დაბადებული ნ.ხ. 1986 წელს დაბადებული ბ.მ. და 1956 წელს დაბადებული მ.ბ.

დანაშაული 1-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულები იმ დროს დააკავეს, როდესაც მათ ღამით სხვის საკუთრებაში არსებულ ვენახებში ფარულად შეაღწიეს და საფერავის ჯიშის ყურძენს იპარავდნენ. პოლიციამ დაახლოებით ნახევარი ტონა საფერავის ჯიშის ყურძენი ნივთმტკიცებად ამოიღო.



დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.

ქურდობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-177-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

# შსს-ში პროექტის „ტექნიკური დახმარება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა“ ფარგლებში მმართველი საბჭოს შეხვედრა გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტროში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ტექნიკური დახმარება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში“ მმართველი საბჭოს მეხუთე შეხვედრა გაიმართა. ღონისძიება შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილე კახაბერ საბანაძემ გახსნა.

შეხვედრის მონაწილეებმა პროექტის განმავლობაში მიღწეულ შედეგებზე იმსჯელეს და სამომავლო აქტივობები განსაზღვრეს.

შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლები, პროექტის განმახორციელებელი გუნდის ორგანიზაცია „Hulla & Co Human Dynamics KG“-ის წევრები, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები.

აღნიშნული პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით, 2018 წლიდან ხორციელდება. იგი მიზნად ისახავს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის ხელშეწყობას ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პროექტის ძირითადი მიმართულებებია: საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის გაღრმავება, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საბჭოს გაძლიერება, სამინისტროს ანალიტიკური შესაძლებლობების განვითარება, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული მეთოდების დანერგვა, კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ორგანიზებული დანაშაულით გამოწვეულ საფრთხეებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და სხვ.

# შინაგან საქმეთა სამინისტროს ქუთაისის პოლიციის სამმართველოში არასრულწლოვნებზე მორგებული სივრცე მოეწყო

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის პოლიციის სამმართველოში დასრულდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომლის შედეგად აღნიშნულ სამმართველოში შეიქმნა არასრულწლოვნებზე მორგებული გარემო.



არასრულწლოვანთა სივრცე მოწყობილია გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ შემუშავებულ კონცეფციაზე დაყრდნობით.

სივრცე უზრუნველყოფილია არასრულწლოვნის გამოკითხვისთვის საჭირო ოთახებით და აუდიო/ვიდეო აპარატურით, იზოლირებული შესასვლელით და მოსაცდელით. გარემოს არსებობა ხელს უწყობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსისა და ბავშვის უფლებათა კოდექსის პრინციპების მაღალი სტანდარტით დაცვას სამართალწარმოების ეტაპზე.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სამომავლოდაც აქტიურად გააგრძელებს პოლიციის დანაყოფებში ბავშვზე მორგებული სივრცეების მოწყობას.

# შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ევროპის საბჭოს პროექტის მმართველი კომიტეტის მეხუთე შეხვედრას დაესწრო



შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო ცაციაშვილი ევროპის საბჭოს მიერ დაფინანსებული პროექტის „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ მმართველი კომიტეტის მეხუთე შეხვედრას დაესწრო და სამინისტროს მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით მოხსენება წარადგინა.

შეხვედრის მონაწილეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა პარტნიორი უწყებების მიერ გასული 6 თვის განმავლობაში პროექტის მხარდაჭერით განხორციელებული აქტივობები და მომდევნო საანგარიშო პერიოდისთვის დაგეგმილი ღონისძიებები განიხილეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს პროექტთან მჭიდრო თანამშრომლობას დისკრიმინაციასა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით თანამშრომელთა კვალიფიკაციის, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით.

# ფაშინიანი: „სომხეთი თურქეთის იმპერიალისტური ოცნების ბოლო დაბრკოლებაა“



– სომხეთი და სამხრეთ კავკასიის სომხები ჩრდილოეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთისკენ თურქეთის ექსპანსიის გასაგრძელებლად და იმპერიული ოცნების განსახორციელებლად ბოლო დაბრკოლებაა.

ამის შესახებ სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ წერს.

„რატომ დაბრუნდა თურქეთი 100 წლის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში? – სომეხთა გენოციდის გასაგრძელებლად. თუმცა გენოციდური პოლიტიკის გაგრძელება თურქეთისთვის არ არის მხოლოდ არმენოფობიის განხორციელების საშუალება, არამედ პრაგმატული ამოცანაა.

სომხეთი და სამხრეთ კავკასიის სომხები არიან ბოლო დაბრკოლება ჩრდილოეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთისკენ თურქეთის ექსპანსიის გასაგრძელებლად და იმპერიული ოცნების ასახდენად. ეს არ არის მხოლოდ ყარაბაღის ან სომეხი ხალხის უსაფრთხოების საკითხი. ეს საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხია.

სომეხი ხალხი იცავს საერთაშორისო უსაფრთხოებას, როდესაც საკუთარ თავზე იღებს მისიას, რომელიც, შესაძლოა, ახალი ისტორიული მისია იყოს“, – აცხადებს ნიკოლ ფაშინიანი.

# პრინც ჰარისა და მეგან მარკლს დიდ ბრიტანეთში დაბრუნება სურთ



პრინც ჰარისა და მეგან მარკლს სურთ, რომ საშობაოდ დიდ ბრიტანეთში დაბრუნდნენ, რათა მათმა შვილმა არჩიმ თავისი დიდი ბებია, დედოფალი ელისაბედ II და მისი მეუღლე, პრინცი ფილიპი მოინახულოს.

– ისინი დროის ჰარის ოჯახთან გატარებას ესწრაფვიან და განსაკუთრებით იმას, რომ არჩიმ დიდი ბებია და პაპა ნახოს, – ამტკიცებს ინფორმირებული წყარო, რომელიც ვინაობის გამხელისგან თავს იკავებს.

მისი თქმით, სამეფო ოჯახს უამრავი ტრადიცია აქვს, რომლებიც დღესასწაულებს უკავშირდება და რომლებიც ძალიან მოსწონთ ჰარისა და მის მეუღლეს.

# ერდოღანმა სომხეთს ბანდიტური სახელმწიფო უწოდა

## „ვინც მას მხარს უჭერს, პასუხს აგებს კაცობრიობის წინაშე“



თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი აცხადებს, რომ ყველა, ვინც სომხეთს უჭერს მხარს, პასუხს აგებს კაცობრიობის წინაშე.

– ყველაფრის გადადება და თურქეთისთვის ცილისწამების მცდელობა სომხეთის მთავრობას ვერ გადაარჩენს. ვაფრთხილებ მათ, ვინც მხარს უჭერს ამ ბანდიტურ სახელმწიფოს, პასუხს აგებენ კაცობრიობის სინდისის წინაშე. დაე, ალაჰი იყოს ჩვენი აზერბაიჯანელი ძმების მფარველი! – აღნიშნა ერდოღანმა.

მისი თქმით, ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეები – შეერთებული შტატები, რუსეთი და საფრანგეთი თითქმის 30 წელია, გულგრილად განიხილავენ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს.

– მიუღებელია ის, რომ იმის ფონზე, რაც ხდება, მათ ცეცხლის შეწყვეტა სურთ. თუკი ვინმეს ეს სურს, მაშინ ოკუპანტებმა უნდა დატოვონ ეს მიწები. ჩვენს აზერბაიჯანელ ძმებს სურთ, დაბრუნდნენ თავიანთ მიწებზე. მე ეს განვიხილე პუტინთან და მაკრონთანაც. ისინი ყოველთვის ისხდნენ და საუბრობდნენ, მაგრამ – უშედეგოდ. ახლა შედეგის დროა, – განაცხადა ერდოღანმა.

მისივე თქმით, რეგიონში მყარი მშვიდობის დამყარების ერთადერთი გზა ოკუპირებული აზერბაიჯანული ტერიტორიიდან სომხეთის გასვლაა.

# ბანკის თანამშრომელმა პარკში რეკორდული ზომის ალმასი იპოვა



ამერიკის არკანზასის შტატში ბანკის თანამშრომელმა „ალმასების კრატერის“ პარკში სეირნობის დროს იშვიათად დიდი ზომის ცხრაკარატიანი ალმასი იპოვა.

33 წლის ბანკის თანამშრომელმა კევინ კინარდმა პარკის არსებობის ისტორიაში სიდიდით მეორე ალმასი აღმოაჩინა. მისი თქმით, ის ხშირად დადის „ალმასების პარკში“ და ძვირფას ქვებს მიწის ზედაპირზე ეძებს.

– მე ვიღებ და ჩანთაში ვდებ ყველაფერს, რაც კი კრისტალს წააგავს, – განაცხადა ამერიკელმა.

კინარდმა თავდაპირველად ნაპოვნი ალმასი მინის ნამსხვრევად მიიჩნია, თუმცა მაინც შეინახა იმისთვის, რომ მოგვიანებით შეემოწმებინა. რამდენიმე საათის შემდეგ ის დიამონდ დისქავერის ცენტრში მივიდა, რათა ნაპოვნი ქვები სპეციალისტებისთვის ეჩვენებინა.

– ბოლო მომენტამდე არ მსურდა, რომ მათ ჩემი ნაპოვნი ქვები შეემოწმებინათ, ვინაიდან არ მჯეროდა, რომ ისინი რაიმე ფასეულობას წარმოადგენდა, – აღნიშნა კინარდმა.

ამერიკელის ჩანთაში მართლაც ბევრი მინა და ქვა აღმოჩნდა, თუმცა მათ შორის სპეციალისტებმა მსხვილი ალმასიც ნახეს. ოფიციალური რეგისტრაციის შემდეგ კინარდმა ალმასი, რომლის წონამ 9,07 კარატი შეადგინა, სახლში წაიღო.

# კიევში აშშ-ის საელჩოს თანამშრომელი მოკლეს




კიევში, ტოლბუხინის ქუჩის მახლობლად, საპარკო სატყეო ზონაში, ქალის გვამი იპოვეს. მას თავის ქალის ტრავმა ჰქონდა. დადგინდა, რომ ის აშშ-ის საელჩოს თანამშრომელი სანვერ ნაკაელოა. საელჩომ ხსენებული ფაქტი დაადასტურა.

უკრაინის პოლიციამ დაადგინა, რომ მკვლელი, სავარაუდოდ, 30-40 წლისაა, ატარებს შორტებსა და სათვალეს. სიმაღლე დაახლოებით მეტრი და 87 სანტიმეტრია.

ამჟამად მიმდინარეობს დამნაშავის ძებნა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მამაკაცმა ყოფილი შეყვარებულის სახლის დრონით აფეთქება ცადა



ამერიკის პენსილვანიის შტატის მკვიდრი დრონს იყენებდა თავისი ყოფილი შეყვარებულის სახლის მახლობლად ასაფეთქებლის ჩამოსაგდებად და შედეგად ციხეში ამოყო თავი.

45 წლის ჯეისონ მაზიკატოს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. მამაკაცმა ხელისუფლების ყურადღება ჯერ კიდევ გასულ წელს მიიპყრო. მაშინ მიმდინარეობდა ბანგორში (ნორთჰემპტონის ოლქი) განხორციელებული აფეთქებების სერიის გამოძიება, რომლებიც რამდენიმე კვირის განმავლობაში აშფოთებდა ადგილობრივ მცხოვრებლებს.

მამაკაცის სახლში ჩატარებული ჩხრეკის დროს დიდი რაოდენობით იარაღი და საბრძოლო ტყვია-წამალი იქნა აღმოჩენილი, რომლებზეც მას ნებართვა არ ჰქონდა. მაზიკატო აფეთქებებთან საკუთარ კავშირს უარყოფდა და ამტკიცებდა, რომ იარაღი მას იმ პირებისგან თავდასაცავად სჭირდებოდა, რომლებიც თითქოსდა მას დევნიდნენ და მისი და მისი კლიენტების ავტომობილები დააზიანეს.

თუმცა საბოლოოდ მაზიკატომ ბრალდების ორ პუნქტში თავი დამნაშავედ ცნო და მას საბოლოო განაჩენი სასამართლომ 24 სექტემბერს გამოუტანა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# „არტოს ბაღს“ გია ყანჩელის სახელი მიენიჭება



თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივითა და საკრებულოს გადაწყვეტილებით, ჩუღურეთის რაიონში „არტოს ბაღისთვის“ გია ყანჩელის სახელის მინიჭების შესახებ საჯარო განხილვა გაიმართა.

2 ოქტომბერს კომპოზიტორის გარდაცვალებიდან ერთი წელი სრულდება. გია ყანჩელი ჩუღურეთის რაიონში, „არტოს ბაღის“ მიმდებარედ ცხოვრობდა და მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი პერიოდი სწორედ ამ უბანსა და ტერიტორიას უკავშირდება.

ღონისძიება სიმბოლურად აღმაშენებლის გამზირზე, „არტოს ბაღში“ ჩატარდა. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს კულტურისა და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებმა, გია ყანჩელის მეგობრებმა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

როგორც თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, საკრებულოსთვის დიდი პატივია ამ ინიციატივის წარდგენა და ფართო საზოგადოებასთან ერთად განხილვა:

– მთელი საზოგადოება ერთსულოვანია გია ყანჩელის ფენომენთან და მის შემოქმედებასთან დაკავშირებით. სიმბოლურია, რომ ჩვენ გვაქვს ინიციატივა, „არტოს ბაღს“ ეწოდოს დიდი მაესტროს სახელი. ეს ბაღი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, სადაც ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები იკრიბებოდნენ და უზიარებდნენ ერთმანეთს საკუთარ შემოქმედებას. ამასთან, ეს ადგილი არის უბანში, სადაც გია ყანჩელი დაიბადა და გაიზარდა. მას „არტოს ბაღთან“ განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა. ჩვენთვის დიდი პატივია ამ ინიციატივის წარდგენა.

თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილის განცხადებით კი კომისიამ გეოგრაფიული ობიექტისთვის გია ყანჩელის სახელის მინიჭების ინიციატივა ერთი წლის წინ გააჟღერა:

– სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით ჩუღურეთის რაიონში „არტოს ბაღს“ ვანიჭებთ გია ყანჩელის სახელს. დაახლოებით ერთი წლის წინ გავაჟღერეთ ეს ინიციატივა. მას შემდეგ გავიარეთ სახელდებასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები. დღევანდელ განხილვაზე კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან, გია ყანჩელის მეგობრებთან, საკრებულოს წევრებთან ერთად კიდევ ერთხელ გამოვთქვით მოსაზრებები. საზოგადოება ერთსულოვანია და დადებითად აფასებს ინიციატივას, რომ „არტოს ბაღს“ გია ყანჩელის სახელი მიენიჭოს.

„არტოს ბაღში“ დაგეგმილ საჯარო განხილვაზე საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს და გია ყანჩელის შემოქმედებაზე ისაუბრეს მისმა მეგობრებმა და კულტურის სფეროს წარმომადგენლებმა. განხილვის შედეგად შეთანხმდნენ, რომ შენარჩუნდება „არტოს ბაღის“ ძველი სახელწოდებაც და მას გია ყანჩელის სახელობის „არტოს ბაღი“ ეწოდება.

ამ საკითხზე გადაწყვეტილებას თბილისის საკრებულო პირველი ოქტომბრის სხდომაზე მიიღებს.

# „მაკდონალდსში“ ინვალიდს მომსახურებაზე უარი მისი სკუტერის გამო უთხრეს

დიდ ბრიტანეთში ინვალიდს უარი უთხრეს „მაკდონალდსის“ სწრაფი კვების რესტორანში მომსახურებაზე იმის გამო, რომ ის იქ სპეციალური სკუტერით მივიდა. დაწესებულების თანამშრომელმა ეს იმით ახსნა, რომ ისინი მხოლოდ მანქანებს ემსახურებიან და არა სკუტერებს.



აღსანიშნავია, რომ 50 წლის მარკ უეიტს წითელი მგლურა და ოსტეოპოროზი აწუხებს და დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლია. ქალაქში გადასაადგილებლად ის სკუტერს იყენებს, რომელიც მძღოლების ლიცენზირებისა და სატრანსპორტო საშუალებების სააგენტოშია დარეგისტრირებული.

თავად ინვალიდმა აღნიშნა, რომ პერსონალის ასეთმა დამოკიდებულებამ გული ატკინა და მანქანის ტარებას ის ტკივილგამაყუჩებლების გამო ვერ ახერხებს. მოგვიანებით რესტორნის ფილიალში უეიტს ბოდიში მოუხადეს და აღიარეს, რომ

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი ფედერიკო ფელინისა და ტონინო გუერას 100 წლის იუბილეებს ეძღვნება

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი 2 ოქტომბერს გაიხსნება. კინოფესტივალი იტალიის საელჩოსთან ერთად ფედერიკო ფელინისა და ტონინო გუერას 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოებს გამართავს.

ფედერიკო ფელინისა და ტონინო გუერას ყველაზე მასშტაბური ნამუშევარი, „ამარკორდი“, 1973 წელს შეიქმნა. ფილმი ნახევრად ბიოგრაფიულია. მისი სათაური, „ამარკორდი“, რიმინულ დიალექტზე ითარგმნება, როგორც „მე მახსოვს“. სწორედ ასე, საკუთარი ბავშვობის მოგონებებზე ააგეს „ამარკორდი“ ფელინიმ და მისმა სცენარისტმა ტონინო გუერამ. სიუჟეტი მოგვითხრობს მოზარდ ბიჭ ტიტოზე, რომელიც ერთ პატარა იტალიურ სოფელში, სოფელ რიმინისთან ახლოს, სადაც თავად ფელინი დაიბადა, უცნაურ და ექსცენტრულ გარემოში იზრდება, გარემოში, რომელიც სრულად გამოხატავს მუსოლინის პერიოდის იტალიას.

ჩვენება საქართველოს ეროვნული მუზეუმის შიდა ეზოში გაიმართება. ფილმები არის ორიგინალ ენაზე, იტალიურად, ქართული სუბტიტრებით. რეტროსპექტივას თან ახლავს ფოტოგამოფენა ფელინი „რვანახევარი“ პოლ რონალდის ფოტოსურათებში.




კინოფესტივალი 4 დღის განმავლობაში საზოგადოებას სხვადასხვა ღონისძიებას შესთავაზებს. 3 ოქტომბერს ნაჩვენები იქნება ფედერიკო ფელინის შედევრი „რვანახევარი“ ორიგინალ ენაზე ქართული სუბტიტრებით. 4 ოქტომბერს მაყურებელი ნახავს მიშა მრევლიშვილის დოკუმენტურ ფილმს ტონინო გუერაზე „გამარჯობა, ქარი ქრის“. 5 ოქტომბერს თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალს დახურავს „ტკბილი ცხოვრება“ ორიგინალ ენაზე ქართული სუბტიტრებით.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# „ბორჯღალოსნები“ შემოდგომისთვის ემზადებიან




საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლევან მაისაშვილმა შემოდგომის 2 ტესტმატჩისთვის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა.

როგორც უკვე იცით, „ბორჯღალოსნები“ 23 ოქტომბერს ედინბურგში, „მარიფილდზე“ შოტლანდიის ნაკრებს ეთამაშებიან, ხოლო 1 ნოემბერს რაგბი ევროპის ჩემპიონატის გადადებულ შეხვედრაში რუსეთს თბილისში უმასპინძლებენ.

ამ მატჩებისთვის ჯამში 38 მორაგბე მოემზადება, რომელთაგან 22 მორკინალი და 16 ხაზის მოთამაშეა.

მაისაშვილის გუნდი 14 ნოემბრიდან უკვე „შემოდგომის ერთა თასში“ ჩაერთვება, სადაც 14 ნოემბერს ინგლისს, 21 ნოემბერს უელსს, 29 ნოემბერს ირლანდიასა და 5 დეკემბერს მეორე ჯგუფის ერთ-ერთ გუნდს (საფრანგეთი, შოტლანდია, იტალია, ფიჯი) ეთამაშებიან.

გაფართოებული რაზმი შოტლანდიასთან და რუსეთთან ასეთია:

**შერკინება:**

მიხეილ ნარიაშვილი, გურამ გოგიჩაშვილი, ლექსო ყაულაშვილი, შალვა მამუკაშვილი, ჯაბა ბრეგვაძე, გიორგი ჭყოიძე, ლევან ჩილაჩავა, ბექა გიგაშვილი, გიორგი მელიქიძე, კოტე მიქაუტაძე, ნოდარ ჭეიშვილი, დავით გიგაური, გრიგორ ქერდიყოშვილი, ლაშა ჯაიანი, გიორგი ჯავახია, ბექა გორგაძე, ბექა საღინაძე, ოთარ გიორგაძე, გიორგი თხილაიშვილი, მიხეილ გაჩეჩილაძე, თორნიკე ჯალაღონია, იოანე იაშალაშვილი;

**ხაზი:**

ვასილ ლობჟანიძე, გელა აფრასიძე, მიხეილ ალანია, თედო აბჟანდაძე, ლაშა ხმალაძე, მერაბ შარიქაძე, გიორგი კვესელაძე, დემე თაფლაძე, ლაშა მალაღურაძე, თამაზ მჭედლიძე, სანდრო სვანიძე, აკაკი ტაბუცაძე, სანდრო თოდუა, ზურაბ ძნელაძე, სოსო მათიაშვილი, დავით ნინიაშვილი.

# ეროვნული ლიგა იმერული და დედაქალაქური დერბებით განახლდება



**2 ოქტომბერი**

### თელავი-დინამო ბთ

**19:00 თელავი. კავკასიონი არენა**

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ეროვნული ლიგა თელავში, „კავკასიონი არენაზე“ განახლდება, სადაც ჩემპიონობის მაძებარი ბათუმის დინამო ჩავა.

ამ მატჩამდე იყო საუბრები ზღვისპირული გუნდიდან გია გეგუჩაძის გაშვებაზე, მაგრამ მთავარმა მწვრთნელმა ადგილი შეინარჩუნა და ახლა თელავთან ეცდება იმის დამტკიცებას, რომ ხელმძღვანელობამ მართებული გადაწყვეტილება მიიღო.

საჩემპიონოდ შემართულ დინამოს კი, მოგების გარდა, სხვა შედეგი საქმეს გაურთულებს.

თავის მხრივ, თელავსაც უნდა ქულები. მართალია, გუნდს აქამდე მხოლოდ 1 მარცხი აქვს, მაგრამ ვერც მოგებებით დაიკვეხნის და ძირითადად ფრეებით აგროვებს ქულებს. ეს კი, შესაძლოა, ბოლოს საკმარისი არ აღმოჩნდეს. ამიტომ ფავორიტებთან აღებული ნებისმიერი ქულა საქმეში წაადგება.

**3 ოქტომბერი**

### სამტრედია-დილა

**15:00 სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

პაუზის შემდეგ ახალი მწვრთნელით ითამაშებს სამტრედია. იმერულ გუნდში კახა კაჭარავა გიორგი მიქაძემ ჩაანაცვლა. სამტრედიას კი საქმე კარგად არ აქვს – გუნდი გასავარდნ ზონაშია და ქულები სჭირდება.

თავის მხრივ, „ეროსი მანჯგალაძეზე“ მოსაგებად ითამაშებს გორის დილაც. გიორგი ნემსაძის გუნდს სერიოზული ამბიციები აქვს და ეს გასულ ტურებშიც დაამტკიცა. ქართლური გუნდი საპრიზო ადგილებს უმიზნებს და არც ჩემპიონობისგან არის შორს.

### მერანი-ლოკომოტივი

**19:00 თბილისი. მიხეილ მესხი 2**

ქართველებისთვის დასრულებულ ევროტურნირებზე სხვებზე უკეთ ლოკომოტივმა ითამაშა, მაგრამ, შესაძლოა, ისე მოხდეს, რომ წელს სულაც ევროსაგზურის გარეშე დარჩეს. გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდს მინიმუმ ოთხეულში მოხვედრა სჭირდება, რომელსაც 4 ქულით ჩამორჩება. ჩემპიონატი მოკლეა, ამიტომ წაფორხილების უფლება არ აქვს, მით უფრო – აუტსაიდერთან.

მერანი დასარჩენად იბრძვის და, პირდაპირ რომ არ გავარდეს, სერიოზული კონკურენცია აქვს ჩიხურასთან. ასე რომ, მათთვის ყველა ქულა მნიშვნელოვანია.

**4 ოქტომბერი**

### ჩიხურა-ტორპედო

**15:00 თბილისი. მიხეილ მესხი**

კიდევ ერთი აუტსაიდერი საჩხერის ჩიხურა თბილისში დაუხვდება ქუთაისის ტორპედოს. ზემო იმერლებს რომ ქულების მოპოვება გეგმაში აქვთ, სატურნირო ცხრილიდანაც კარგად ჩანს. თუმცა არც ტორპედოს აქვს დალხინებულად საქმე და ამის გამოსწორებას ბოლო ადგილზე მყოფ გუნდთან ეცდება.

მოკლედ, იმერულ დერბიში კარგი ჯახი უნდა ვიხილოთ.

### დინამო (თბ)-საბურთალო

**20:30 თბილისი. დინამო არენა**

ტურს ცენტრალური მატჩი დახურავს. ცხრილის სათავეში მყოფი გუნდები ერთმანეთში ეცდებიან ურთიერთობის გარკვევას. დინამო მოგების შემთხვევაში სერიოზული ჰანდიკაპით გაექცევა ერთ-ერთ კონკურენტს, ხოლო წაგების შემთხვევაში, შესაძლოა, სამეულიდანაც კი ამოვარდეს.

საბურთალო თუ წააგებს, საჩემპიონო ამბიცია მომავალი წლისთვის უნდა გადადოს. ეს კი ლევან კორღალიძის გეგმებში არ წერია. ასე რომ, დედაქალაქური დერბიც სერიოზულ ბრძოლას გვპირდება.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 11 | 6 | 4 | 1 | 19-5 | 22 |
| 2.საბურთალო | 11 | 5 | 5 | 1 | 19-9 | 20 |
| 3.დინამო (ბთ) | 11 | 5 | 5 | 1 | 19-9 | 20 |
| 4.დილა | 11 | 5 | 5 | 1 | 17-7 | 20 |
| 5.ლოკომოტივი | 11 | 4 | 4 | 3 | 15-15 | 16 |
| 6.თელავი | 11 | 2 | 8 | 1 | 9-6 | 14 |
| 7.ტორპედო | 11 | 3 | 3 | 5 | 10-17 | 12 |
| 8.სამტრედია | 11 | 2 | 3 | 6 | 8-18 | 9 |
| 9.მერანი | 11 | 0 | 5 | 6 | 4-16 | 5 |
| 10.ჩიხურა | 11 | 1 | 2 | 8 | 10-28 | 5 |

# შედეგები

**30 სექტემბერი**

**ფეხბურთი**

### უეფას ჩემპიონთა ლიგა

მიდტიულანდი-სლავია .................... 4:1
პაოკი-კრასნოდარი .................... 1:2
ზალცბურგი-მაქაბი .................... 3:1

### გერმანია. სუპერთასი

ბაიერნი-დორტმუნდი .................... 3:2

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ვილიარეალი-ალავესი .................... 3:1
უესკა-ატლეტიკო .................... 0:0
რეალი-ვალიადოლიდი .................... 1:0
ეიბარი-ელჩე .................... 0:1

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ხეტაფე | 3 | 2 | 1 | 0 | 4-0 | 7 |
| 2.ვალენსია | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 7 |
| 3.რეალი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 4.ვილიარეალი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-7 | 7 |
| 5.ბეტისი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-6 | 6 |
| 6.გრანადა | 3 | 2 | 0 | 1 | 5-7 | 6 |
| 7.სოსიედადი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-2 | 5 |
| 8.სელტა | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 9.ატლეტიკო | 2 | 1 | 1 | 0 | 6-1 | 4 |
| 10.ბარსელონა | 1 | 1 | 0 | 0 | 4-0 | 3 |
| 11.სევილია | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 12.ლევანტე | 2 | 1 | 0 | 1 | 5-5 | 3 |
| 13.ოსასუნა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| 14.ბილბაო | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 15.კადისი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 16.უესკა | 4 | 0 | 3 | 1 | 2-4 | 3 |
| 17.ელჩე | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| 18.ვალიადოლიდი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-5 | 2 |
| 19.ეიბარი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-5 | 1 |
| 20.ალავესი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-6 | 1 |

### იტალია. სერია ა

ბენევენტო-ინტერი .................... 2:5
უდინეზე-სპეცია .................... 0:2
ლაციო-ატალანტა .................... 1:4

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-0 | 6 |
| 2.ატალანტა | 2 | 2 | 0 | 0 | 8-3 | 6 |
| 3.ინტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 9-5 | 6 |
| 4.მილანი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 5.ვერონა | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 6.სასუოლო | 2 | 1 | 1 | 0 | 5-2 | 4 |
| 7.იუვენტუსი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-2 | 4 |
| 8.ბოლონია | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 9.ფიორენტინა | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 10.სპეცია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 11.ლაციო | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 12.ბენევენტო | 2 | 1 | 0 | 1 | 5-7 | 3 |
| 13.ჯენოა | 2 | 1 | 0 | 1 | 4-7 | 3 |
| 14.კალიარი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 15.რომა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-5 | 1 |
| 16.ტორინო | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |
| 17.უდინეზე | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| 18.სამპდორია | 2 | 0 | 0 | 2 | 2-6 | 0 |
| 19.პარმა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |
| 20.კროტონე | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |

### საფრანგეთი. ლიგა 2

აიაჩო-დიუნკერკი .................... 1:0

**ჩოგბურთი**

### როლან გაროსი

### კაცები

კოდრა-ისნერი .................... 6:4,6:4,2:6,6:4
გასტონი-ნიშიოკა .................... 6:4,7:6,3:6,6:2
ალბოტი-ფრიცი .................... 3:6,2:6,4:6
ვავრინკა-კეპფერი .................... 6:3,6:2,3:6,6:1
ჯუსტინო-შვარცმანი .................... 1:6,5:7,0:6
გომბოსი-როდიონოვი .................... 6:2,2:6,7:6,6:4
სოკი-ტიმი .................... 1:6,3:6,6:7
მაკდონალდი-ნადალი .................... 1:6,0:6,3:6
კუკუშკინი-მარტინესი .................... 3:6,1:6,0:6
ნიშიკორი-ტრავალია 4:6,6:2,6:7,6:4,2:6
ბუბლიკი-სოლეგო .................... 6:7,1:6,5:7
რუდი-პოლი .................... 6:1,1:6,6:3,1:6,6:3
პერი-კორეა .................... 6:7,6:4,3:6,1:6
ზვერევი-ერბერი .................... 2:6,6:4,7:6,4:6,6:4
ლონდერო-ჩეკინატო .................... 3:6,2:6,7:5,2:6
ბონზი-სინერი .................... 2:6,4:6,4:6

### ქალები

სვიტოლინა-სარასუა .................... 6:3,0:6,6:2
შარმა-ალექსანდროვა .................... 3:6,3:6
აზარენკა-შმიდლოვა .................... 2:6,2:6
პოდოროსკა-პუტინცევა .................... 6:3,1:6,6:2
ერანი-ბერტენსი .................... 6:7,6:3,7:9
სტრიცოვა-კრეიჩიკოვა .................... 4:6,6:3,3:6
პერა-ანისიმოვა .................... 2:6,0:6
გავრილოვა-ბუზარი .................... 7:5,4:6,3:6
პავლუჩენკოვა-სინიაკოვა .................... 3:6,4:6
სე-შვიატეკი .................... 1:6,4:6
რახიმოვა-საკარი .................... 6:7,2:6
კანეპი-მერტენსი .................... 4:6,5:7
ჰალეპი-ბეგუ .................... 6:3,6:4
გარსია-სასნოვიჩი .................... 7:6,6:2
გაუფი-ტრევიზანი .................... 6:4,2:6,5:7

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ახალგაზრდულის დაირაზმა



საქართველოს 21-წლამდე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვასილ მაისურაძემ ევრო 2021-ის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის შემადგენლობა დაასახელა. ახალგაზრდულ ნაკრებში 23 ფეხბურთელია გამოძახებული:

**მეკარეები:** გიორგი მამარდაშვილი (ლოკომოტივი), დავით კერესელიძე (გაგრა), ლუკა სანიკიძე (თელავი);

**მცველები:** ლუკა ლოჩოშვილი (ვოლფსბერგერი, ავსტრია), ლუკა ლაკვეხელიანი (მეზოკოვეშდი, უნგრეთი), დავით კობოური (დინამო თბ), ივა გელაშვილი (სპარტა, ჩეხეთი), ალექსანდრე ანდრონიკაშვილი (ლოკომოტივი), ლუკა ასათიანი (სამგურალი), თორნიკე ძოწენიძე (თელავი);

**ნახევარმცველები:** ნიკა ნინუა (პაოკი, საბერძნეთი), ირაკლი აზაროვი, გიორგი კუცია, ანზორ მექვაბიშვილი (ყველა დინამო თბ), დავით სამურკასოვი, ბექა დარცმელია, თორნიკე ძებნიაური (ყველა ლოკომოტივი), რევაზ ინჯგია (რადნიჩკი, სერბეთი), ლუკა სილაგაძე (ვალმიერა, ლატვია);

**თავდამსხმელები:** ვატო არველაძე (კარაგუმრუკი, თურქეთი), ნუგზარ სპანდერაშვილი (დილა), გიორგი გულიაშვილი (საბურთალო), სერგო კუხიანიძე (სამგურალი).

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები 9 ოქტომბერს – შვეიცარიას, 13 ოქტომბერს კი აზერბაიჯანს უმასპინძლებს. ორივე მატჩი გორში გაიმართება. აქვე გეტყვით, რომ გიორგი მამარდაშვილი და გიორგი კუცია შვეიცარიასთან შეხვედრას დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებენ და გუნდს აზერბაიჯანთან თამაშისთვის შეუერთდებიან.

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 2. სავაჭრო სპეკულაციებით გამდიდრებული ადამიანი; 3. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 5. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში; 7. მზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 9. სოკოების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 13. ალუმინის შემცველი მადანი; 15. უცხო მხარიდან შემოტანილი მცენარე ან შემოყვანილი ცხოველი; 16. კუთხე საქართველოში; 18. ლუკ ბესონის ტრილერი.

**თარაზულად:** 4. ქვანახშირის მადნის გადასაზიდი თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 6. აზერბაიჯანელ ქალთა ცეკვა; 8. წინადადების ერთ-ერთი მთავარი წევრი გრამატიკაში; 10. ნაციონალური პარკი-ნაკრძალი კენიაში; 11. სამხრეთ ამერიკის გვინეაში განთავსებული საფრანგეთის კოსმოდრომი; 12. ტერიტორიული ერთეული ირანში; 14. დეტექტიური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 17. შავი ზღვის ძველი სახელწოდება; 19. ქიმიური ელემენტი, აირი; 20. ცნობილი უკრაინელი ფეხბურთელი; 21. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში; 22. არენა ინგლისში, სადაც იმართება ძაღლების რბოლა; 23. ამერიკელი სეისმოლოგი, მიწისძვრის საზომი შკალის შემქმნელი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. გურიელი; 2. აფხაზეთი; 3. ეტალონი; 5. ნომინალი; 7. ბულბული; 9. ინფანტინო; 13. გინიოლი; 15. დავოსი; 16. გიურზა; 18. სეიკო.

**თარაზულად:** 4. მუხანათი; 6. რეფერატი; 8. ქინძმარაული; 10. კაბალიე; 11. ფინო; 12. ალონჟი; 14. ოდინი; 17. სტეპი; 19. ცვილი; 20. კრეისერი; 21. ოსლო; 22. ყიზილბაში; 23. ლოტკინი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მეტელი. 2. გრეგორი; 3. კაპიტალი; 4. ლუგანსკი; 8. სუბმარინა; 9. კარბონადო; 11. სპეტაკი; 12. გეტა; 14. არგო; 16. პერკუსია; 17. კალაპარი; 19. დომინო; 21. რისკი.

**თარაზულად:** 5. ბატიბუტი; 6. დელაკრუა; 7. პოლიგლოტი; 10. ჩაქურა; 13. ვერიკო; 15. სტატორი; 18. ვეზირი; 20. ნადალი; 22. ეჩმიადინი; 23. სიტროენი; 24. ეკვადორი.

# სამგლოვიარო განცხადებები



## ანზორ გულუას ხსოვნას

3 ოქტომბერს, შაბათს, 40 დღე იქნება, რაც უშენობას ვეგუებით!

უფალმა დაგიმკვიდროს მარადიული სასუფეველი. გვენატრები და გვაკლიხარ!

ოჯახი

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება 12-დან 17 საათამდე. ტელ.: 599-532-690

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

2 ოქტომბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2059

ევრო — 3.7560

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1212

100 რუსული რუბლი — 4.0976

## ამინდის პროგნოზი 2 ოქტომბრისათვის




## დენ აზარმა ისევ ტრავმა მიიღო



მადრიდის რეალის ბელგიელმა ნახევარმცველმა ედენ აზარმა ერთ-ერთ ვარჯიშზე ისევ ტრავმა მიიღო და ჯერჯერობით უცნობია, როდის დაბრუნდება ის მოედანზე.

ზიდანმა თქვა, რომ აზარის ტრავმა სერიოზული არ არის და ის მალე დაბრუნდება:

– აზარმა მუხლის მცირე დაზიანება მიიღო და უსაფრთხოების მიზნით რამდენიმე შეხვედრას გამოტოვებს. მისი ტრავმა სერიოზული არ არის, თუმცა გარისკვა არ ღირს. წლევანდელ სეზონში აზარი ძალიან დაგვჭირდება.

## მოურინიო: „ფორვარდის ყიდვა გვჭირდება“



ტოტენჰემის მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ მის გუნდს, შესაძლოა, ფორვარდის ყიდვა დასჭირდეს იმ შემთხვევაში, თუ ჰარი კეინმა ტრავმა მიიღო. მოურინიოს აზრით, მის გუნდს ძლიერი შეტევა ჰყავს, მაგრამ ახალი სისხლი მაინც საჭიროა:

– ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ, მათ შორის, ტრავმებისთვისაც, ამიტომ საჭიროა, კიდევ ერთი ფორვარდი ვიყიდოთ. იმედი მაქვს, გუნდის ხელმძღვანელობა ჩემს თხოვნას გაითვალისწინებს.

## მესი: „ბარსელონის საზიანოდ არასოდეს ვიმოქმედებ“



ბარსელონის კაპიტანმა ლიონელ მესიმ თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ არასოდეს გააკეთებს ისეთ რამეს, რის გამოც ბარსელონას რაიმე სახის ზიანი მიადგება. მესის თქმით, მას სურს, ბარსელონამ წელს წარმატებას მიაღწიოს, თუმცა თავისი მომავალი გადაწყვეტილი არ აქვს:

– ბარსელონაში მთელი ცხოვრება გავატარე და ყოველთვის ისე ვიმოქმედებ, როგორც ამ გუნდის ინტერესებში იქნება. მომავალში, არ ვიცი, რა მოხდება. გადაწყვეტილების მიღებას არ ვჩქარობ.

## ანჩელოტი: „ევერტონს დიდი პოტენციალი აქვს“

ევერტონის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ ევერტონს აქვს პოტენციალი, სეზონის ბოლოს ევროტურნირის საგზური მოიგოს.



ანჩელოტის აზრით, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ევერტონი შეძლებს თავისი პოტენციალის ბოლომდე გამოყენებას:

– ჩვენს გუნდში ბევრი ისეთი ფეხბურთელია, რომლებსაც შეუძლიათ, შეხვედრის ბედი მარტომ გადაწყვიტონ. ეს ყოველთვის გაძლევს უპირატესობას. ევერტონს შეუძლია მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



2 ოქტომბრისათვის

**ვერძი** – დილით ყოველგვარი კაპიტალდაბანდებისაგან თავი შეიკავეთ. დღის მეორე ნახევარში სამსახურში დაწინაურებას ელოდეთ. **კურო** – დღეს არანაირი გრანდიოზული პროექტი არ დაგეგმოთ. წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა გმართებთ. **ტყუპები** – ემოციურად დატვირთული დღეა. ყურადღება გამოიჩინეთ ოჯახის წევრების მიმართ. **კირჩხიბი** – სამსახურში გაუგებრობა იჩენს თავს. თქვენს კეთილგონიერებასა და თავშეკავებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. **ლომი** – პირად ცხოვრებაში პატარა პრობლემა გაქვთ. ნებისმიერ სიტუაციაში ვითარება თქვენ სასარგებლოდ წარიმართება. **ქალწული** – დღის პირველ ნახევარში იფრთხილეთ. კომერციული გარიგებები სასურველი არ არის. ნურავის მიენდობით. **სასწორი** – სრულფასოვანი დასვენება გჭირდებათ. რეკომენდებული არ არის ყოფით პრობლემებთან შეჭიდება. **მორიელი** – შანსი გაქვთ, თქვენ წინააღმდეგ მომართული ინტრიგებისაგან თავი დაიხსნათ. დაიმახსოვრეთ – ნუ იქნებით აგრესიული. **მშვილდოსანი** – ნუ გარისკავთ. საეჭვო ნაცნობებს ერიდეთ. გირჩევთ, დაისვენოთ და გაერთოთ. **თხის რქა** – მოულოდნელი ინფორმაცია სულიერ წონასწორობას დაგირღვევთ. საკუთარი თავის რწმენა გქონდეთ და ემოციებს არ აჰყვეთ. **მერწყული** – ენერგეტიკულად მძლავრი დღეა. ნებისმიერი შეხვედრა სხვა დროისათვის გადადეთ. სახლიდან გასვლას ერიდეთ. **თევზები** – კონფლიქტურ სიტუაციებში მკვეთრი გამონათქვამებისაგან თავი შეიკავეთ. ასე სიტუაციას განმუხტავთ და თქვენ სასარგებლოდ შემოაბრუნებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

აბანოში მოხუცი ქალი ახალგაზრდა ლამაზ გოგონას თვალს ადევნებს, რომელიც ტანს იბანს, თან ხელებს ნაზად ისვამს და აშკარად კმაყოფილებას განიცდის საკუთარი სხეულის ფორმებით. მოხუცი ქალი ეუბნება:

– ძალიან ლამაზი გოგონა ხარ...

– კი, ლამაზი ვარ, – კეკლუცად პასუხობს გოგონა.

– ალბათ უამრავი ბიჭი დაგდევს უკან, მოსვენებას არ გაძლევენ?

– ჰო, დამდევენ.

– ალბათ ყველას უარით ისტუმრებ, არავის აძლევ...

– კი, არავისთვის მიმიცია, – ამაყად მიუგო გოგონამ.

– მერე ბევრს ინანეეებ, ბევრს, გოგონიიი...

•••

ახალგაზრდა ტატუს სალონში მივიდა და ტატუს ოსტატს ეუბნება:

– მთელ ზურგზე ტანკი მინდა!

– პრობლემა არაა, – პასუხობს ტატუს ოსტატი.

20 წუთის შემდეგ ოსტატი ეუბნება ახალგაზრდას:

– მორჩა, მზადაა!

– ასე მალე?

– აბა რა, ხუთი ასოს დაწერას რა ბევრი დრო სჭირდება!

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– იცი, ძვირფასო, ვიფიქრე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ შენთვის სასარგებლო იქნება, თუ ერთი-ორი დღე შარვალგახსნილი ივლი.

– რატომ?

– გახსოვს, ორი დღე ყელსახვევის გარეშე რომ დადიოდი?

– მახსოვს და მერე?

– მერე, სამი დღე კისერს ვერ ხრიდი...

•••

გამომძიებელი ქალს ეკითხება:

– შეგიძლიათ მოგვიყვეთ, როგორ მიმდინარეობდა გაუპატიურება?

– საძაგლად! პირდაპირ გაუპატიურება კი არა, ნამდვილი დაცინვა იყო!

•••

საბავშვო ბაღში ბავშვები საუბრობენ. ერთი ამბობს:

– ჩვენ დედას ორნი ვყავართ და ყველას ჩვენ-ჩვენი ოთახი გვაქვს!

მეორე ამბობს:

– ჩვენ დედას სამნი ვყავართ და ყველას ჩვენ-ჩვენი ველოსიპედი გვაქვს!

მესამე ამბობს:

– ჩვენ დედას შვიდნი ვყავართ და ყველას ჩვენ-ჩვენი მამა გვყავს!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ელისო ბოლქვაძე „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაშია



ქართველი პიანისტი ელისო ბოლქვაძე პარტია „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაშია.

იუნესკოს მშვიდობის არტისტმა გადაწყვეტილება მიიღო და იგი პარტიამ 32-ე ნომრად წარადგინა.

ინფორმაცია „ქართული ოცნების“ სიის გამოქვეყნების შემდეგ გახდა ცნობილი.

## ნატო მეტონიძემ სიმსივნე ადრეულ სტადიაზე დაამარცხა



მომღერალმა ნატო მეტონიძემ სიმსივნე ადრეულ სტადიაზე აღმოაჩინა და მისი წარმატებით დამარცხებაც შეძლო.

ხელოვანთან დაკავშირებული ინფორმაცია ფრიდონ თოდუას სახელობის სამედიცინო ცენტრმა გაავრცელა:

– ჩემი შემთხვევა ამ ავადმყოფობის მარტივი მიმართულება აღმოჩნდა, სხვა დანარჩენთან შედარებით მსუბუქი ფორმა, ამიტომ მის დასამარცხებლად შედარებით მარტივი გზა გავიარე. არ დამჭირდა ქიმიოთერაპია და ეს იმიტომ, რომ ის ადრე აღმოვაჩინე. ყველაზე მთავარია, ვიყოთ ყურადღებიანი და კულტურული საკუთარი თავის მიმართ და ჩვენი საყვარელი ადამიანების მიმართაც გამოვიჩინოთ პასუხისმგებლობა. ამისათვის საჭიროა, გადავლახოთ შიში და წელიწადში ერთხელ გამოვყოთ 1 საათი ექიმთან კონსულტაციისთვის, – ამბობს ნატო მეტონიძე.

## ქართველი მოდელი ეთო მიგრიაული ვალენტინოს ახალ ჩვენებაზე გამოვიდა



სამოდელო სააგენტო „ჯეო მოდელსის“ მოდელი ეთო მიგრიაული ვალენტინოს უახლესი კოლექციის ჩვენებაზე გამოვიდა.

პიერპაოლო პიჩოლიმ ვალენტინოს ახალი კოლექცია წარადგინა, რომელზეც, მსოფლიოში ცნობილ მოდელებთან ერთად, ქართველი ლამაზმანიც მონაწილეობდა. ეს არის ეთოს პირველი დიდი ტოპბრენდის შოუ საერთაშორისო პოდიუმზე.

ვალენტინომ ახალი კოლექცია მილანის მოდის კვირეულის ფარგლებში ახალი სეზონის დასკვნით დღეს წარმოადგინა.

## ლელა წურწუმია სერიალ „დიდ ოჯახში“ გამოჩნდა




მომღერალი ლელა წურწუმია სცენის ნოსტალგიას ნამდვილად არ უჩივის. თუკი კონცერტებს ისეთი სიხშირით ვერ ატარებს, როგორც კორონავირუსის პანდემიამდე ატარებდა, სამაგიეროდ, მთავარ არხზე საავტორო გადაცემა „ლელასთან ერთად“ დაიწყო და ახლა უკვე ამავე ტელეკომპანიის სერიალ „დიდ ოჯახში“ გამოჩნდა.

ლელა წურწუმია პროფესიით მსახიობია, ამიტომაც მისთვის გადასაღები მოედანი კარგად არის ცნობილი.

ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ახალ სატელევიზიო ეთერში სერიალ „დიდი ოჯახის“ მეორე სეზონი მიმდინარეობს.

## ლულუ კახიანი ტელევიზიას დაუბრუნდა



ტელეწამყვანი ლულუ კახიანი წლების შემდეგ კვლავ ტელევიზიას დაუბრუნდა.

მან შეთავაზება პირდაპირ გადაცემაში სტუმრობისას მიიღო.

ლულუ სტუმრად იყო მიწვეული შორენა ბეგაშვილის გადაცემაში „შორენას ეფექტი“, სადაც „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემის პროდიუსერმა გიორგი ქორქიამ მას სამსახური შესთავაზა.

ლულუ კახიანი „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემის ერთ-ერთი წამყვანი იქნება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. რაიმეს გარდაქმნა, შეცვლა; 2. მგზავრის გადაყვანა, ტვირთის გადაზიდვა შუალედური პუნქტის გავლით; 3. სპილენძის შემცველი ლურჯი ფერის მინერალი; 5. მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო მანქანა; 7. დასასვენებელი ადგილი; 9. დოკუმენტის მეორე ასლი, რომელსაც იურიდიული ძალა აქვს; 13. ფაიფურის წარმოებაში გამოყენებული თეთრი ფერის ცეცხლგამძლე თიხა; 15. ვიწრო გასასვლელი ძნელად მისადგომ ადგილებში – ჭაობში, მთებში; 16. დღის ყველაზე ცხელი მონაკვეთის სახელწოდება ესპანეთში; 18. მოძღვრება ზნეობისა და მორალის შესახებ.

**თარაზულად**: 4. ტურისტთა, მოგზაურთა გზამკვლევი ცნობარი; 6. ფრანგული ლიქიორი; 8. მდინარეების შემსწავლელი ჰიდროლოგიის ნაწილი; 10. ფრანგი მოდელიერი მამაკაცი; 11. მტვერსასრუტის გამომგონებელი ბრიტანელი გამომგონებელი; 12. სამი ან მეტი მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; 14. ევროპელ ებრაელთა სალაპარაკო ენა; 17. ჩეხური ავტომობილი; 19. გეომეტრიული ფიგურა; 20. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 21. ფულის ერთეული იაპონიაში; 22. ტვირთის დროებით შესანახი სათავსო საბაჟოზე, ნავსადგურში; 23. სხეულის რომელიმე ნაწილის ნატურალური სიდიდის მოდელი თვალსაჩინოებისათვის. *შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

